# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდ-ვითი სიტყვაა, ფიცილობით და ჯორობით ბურ-თის გატანა ყველა უპატიოსნობაზე უსაძაგლესია.


ხუთშაბათი, 2 თებერვალი. 2023 წ. №13 (9545) ელ.ფოსტა: sakresp@top.ge და sakresp@mail.ru ფასი 1 ლარი


## აუცილებლად წასაკითხი და გასათვალისწინებელი!

# რუსულ-ამერიკული „არჩევანი-არადანი“




...ეს არ იქნება „გასეირნება“ სოხუმსა და ცხინვალში და საერთოდ, მოვლენების მოსალოდნელ განვითარებას არანაირი პირდაპირი კავშირი არ ექნება სოხუმთან და ცხინვალთან.

რუსული იერიშის მთავარი და ერთადერთი სამიზნე იქნება თბილისი და შეტევა განვითარდება იმდენი მიმართულებიდან, რამდენსაც კრემლი გადაწყვეტს, ხოლო ომი იმდენ ხანს გაგრძელდება, რასაც რუსულ-ამერიკული გეგმის ინტერესი მოითხოვს.

ციკლიდან „რა სურს ამერიკას?!“

წერილი მეექვსე

იხ. 2 გვ.

**ალეკო ასლანიშვილი:**

### ჩაჩოჩება ენმ-ში და საიდუმლო ორსულობა

უკვე ვიცით სახელი იმ კაცისა, ვინც ენმ-ს გაიყვანს გაღმა, მარილზე, გამარჯვების ნავირზე. ვინც შეადუღაბებს, საბოლოოდ დაშლის და მოსპობს ისედაც მომსპარ და მონიორწყლებულ ნაცების პარტიას! ეს კაცი გახლავთ ლევან ხაბეიშვილი, ჩვენი ხაბაკა, ხაბაკ-ხუბაკა, რომელმაც მასებს თავი დაამახსოვრა მიკროფონში ხლიჩინით, ხშირ-ხშირი დაგეთქვითა და სისხლსავსე უინტელექტოგით.

იხ. 3 გვ.

**ლადო პაპავა:**

### დღეს უკრაინას სათავეში ძალიან დაუნახავი ხელისუფლება ჰყავს საქართველოს მიმართ...

ის, რომ საქართველო არ გაება „ომის მახეში“, არ აჰყვა პროვოკაციებს, არ აჰყვა თუნდაც ემოციებს და შეინარჩუნა ჯანსაღი გონება და ქვეყანა არ ჩართო ომში, ამან გამოიწვია ის, რომ საქართველო გახდა საკმაოდ მიმზიდველი ბიზნესისთვის, მათ შორის იმ ბიზნესისთვის, რომელიც ადრე გაზირებული იყო უკრაინაში, ბელორუსსა თუ რუსეთში.

იხ. 4 გვ.

### „ხარახოდან ვიზუალურად დანახული“ და პარტიული ოფისიდან გაკრიტიკებული სამინისტრო



იხ. 9 გვ.

**ზორან მილანოვიჩი:** ხორვატიის პრეზიდენტი

### ყირიმი არასდროს დაუბრუნდება უკრაინას!

**გუშინ!**

## საქართველოს მივეცი მთელი ჩემი ცოდნა, ჩემი ჯანმრთელობა და თუ საჭიროა, სიცოცხლესაც მივცემ!



ექსპრეზიდენტი **მიხეილ სააკაშვილი** მორიგ სასამართლო პროცესს გუშინ დისტანციურ რეჟიმში დაესწრო.

**„მე საქართველოს მივეცი მთელი ჩემი ცოდნა, ახლა მივეცი ჩემი ჯანმრთელობა. ერთადერთი, რასაც ვითხოვ, ეს არის ადეკვატური მკურნალობის საშუალება მომეცეს. თუ საჭიროა, სიცოცხლესაც მივცემ. ჩემი მდგომარეობა არის მკვეთრად გაუარესებული“**, – განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა და დასძინა, რომ მიმართვას უკრაინულ ენაზე გააგრძელებს.

**„მე დარწმუნებული ვარ უკრაინის გამარჯვებაში, მაგრამ თუ მე ვერ ვიცოცხლებ და მოვკვდები უკრაინის გამარჯვებამდე, რომელიც ძალიან ახლოსაა, ჩემი გული უნდა იყოს დამარხული კიევში. დიდება უკრაინას და სიკვდილი ჩვენს მტერს“**, – განაცხადა მან.

**პეტრე მამრაძე:**

### მერაბიშვილმა სააკაშვილზე შური იძია, გაანადგურა როგორც პოლიტიკურად, ასევე ადამიანურად!

ირაკლი ღარიბაშვილმა სააკაშვილის დაკავების დღეს განაცხადა, რომ მერაბიშვილი იყო, რომელიც სააკაშვილს ქვეყანაში დაბრუნებას აძალებდა. არწმუნებდა, რომ ხალხს ქუჩაში გამოიყვანდნენ. აბა დააკვირდით, მერაბიშვილმა ეს ბრალდება არ უარყო.

იხ. 6 გვ.

**ვახტანგ ძაბირაძე:**

### ნაციონალები მმართველ გუნდს უკვე მოგუდული ჰყავს, მორჩა, პარტია, როგორც ასეთი, აღარ არსებობს

მერაბიშვილს ხალხის ხოცვა ედება ბრალად და იმ სასტიკი რეჟიმის შექმნა, დავით კეზერაშვილს კი ბიუჯეტის და ჯარის გაძარცვა ომის დროს. ეს ხალხი „ოცნებისთვის“ 2024 წლის არჩევნების წინ სრული საჩუქარია.

იხ. 6 გვ.

**სრ** | **აუცილებლად წასაკითხი და გასათვალისწინებელი!**

# რუსულ-ამერიკული „არჩევანი-არადანი“




**უკრაინაში ომის დაწყებიდან თითქმის ერთი წელი გავიდა და ჩემი არასტანდარტულად მოაზროვნე მეგობელი, ბატონი გოგი, ისევ „პირველ ჩვენებას“ აწვება, იმ „ჩვენებას“, რომელზე ფიქრიც კი შიშს ჰგვრის ყველა წესიერი ადამიანის გულსა და გონებას – უკრაინაში მიმდინარე ომი არის რუსულ-ამერიკული პროექტი, რომელიც იმ შედეგით დასრულდება, რაზეც ამ ორმა ზესახელმწიფომ მოილაპარაკა მრავალი წლის წინო(!) – აი, ასე!**

პროცესს, რომელსაც „მსოფლიოს ახალი გადანაწილება“ ეწოდება, გარკვეული პერიოდულობა ახასიათებს (30-40 წლიანი შუალედებით) და **მსოფლიოს ზემძლავრ სუბიექტებს შორის ახალი რეალობით ნაკარნახევი ახალი ბალანსის გამოყვანას ემსახურება.** გავრცელებული შეხედულებით, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ორ, ერთმანეთზე მჭიდროდ გადაჯაჭვულ და ერთმანეთის გადამფარავ შემთხვევას ჰქონდა ადგილი:

1) **ორი საუკუნის მიჯნაზე განვითარებული მოვლენები:**

(დიდი კომუნისტური ბანაკის დაშლა, გერმანიის გაერთიანება, იუგოსლავიის დაქუცმაცება, ავღანეთი – 1, ავღანეთი – 2, ერაყი, სირია, ეგვიპტე, ლიბია).

2) **დღეს მიმდინარე პროცესი:**

საბჭოთა კავშირის დაშლის თანმდევი სისხლიანი მოვლენები (თბილისი, ვილნიუსი, ბაქო), ყოფილი იუგოსლავიის ტერიტორიაზე წარმოებული სასტიკი ომები, ასევე ომები ისლამურ სახელმწიფოებში, საქართველოში, ჩეჩნეთში, აზერბაიჯანსა და უკრაინაში, ენით აუწერელი ტრაგედიებია ადგილობრივი მოსახლეობისთვის. მიუხედავად ამისა, **პროცესის წარმმართველი სუბიექტებისთვის ეს მხოლოდ „ლოკალური გართულებებია“, რაც ისტორიაში „ტყეს ვკაფავთ, ნაფოტი ცვივას“ სახელითაა ცნობილი.**

წინასწარ ვიტყვი, რომ ანალიზის მიზანს არ წარმოადგენს ვინმეს დადანაშაულება, ან ვინმეს გამართლება, რადგან მიმაჩნია, რომ ყველაფერი ჯდება განვითარების კანონზომიერების ფარგლებში - **იმათ თავისი მიზნები აქვთ, ჩვენ ჩვენი!**

ამ მოკლე შესავლის შემდეგ, როგორც ბატონი გოგის აზრების გამხმოვანებელი, გადავდივარ მთავარ სათქმელზე: **ზემოთ ნახსენები ორი პროცესი, სინამდვილეში, ჩვენი** (ჩემი და ბატონი გოგის) **ღრმა რწმენით,** როგორც უკვე აღინიშნა, **ერთი დიდი პროცესის ორი ეტაპია** და არა მოვლენების ორი სხვადასხვა განვითარება.

ყურადღებას შევაჩერებ თემის ჩვენთვის მნიშვნელოვან ნაწილზე: 90-იანების დასაწყისში **კოლექტიურმა დასავლეთმა,** ამერიკის შეერთებული შტატების ლიდერობით, **მფარველობის ქვეშ აიყვანა ლიეტუვა, ლატვია და ესტონეთი, ხოლო მათზე არანაკლებ აქტიური უკრაინა და გაცილებით აქტიური საქართველო აღმოჩნდით,** რბილად რომ ვთქვათ, **გაურკვეველ მდგომარეობაში.**

მივიღეთ ორი განსხვავებული მოცემულობა, რაც იმ მყარი ვარაუდის საფუძველია, (ეს ვარაუდი არაოფიციალური წყაროებით გავრცელებული ინფორმაციებითაც დასტურდება), რომ **აშშ-სა და რუსეთს შორის შედგა ორი, ერთმანეთისგან განსხვავებული, შეთანხმება.** სხვა სიტყვებით – ეკონომიკურად და პოლიტიკურად დასუსტებულ რუსეთს დაათმობინეს სოციალისტური ბანაკის (ვარშავის ხელშეკრულების) ყველა ევროპული სახელმწიფო, დაათმობინეს ლიეტუვა, ლატვია და ესტონეთი, ხოლო **რუსეთმა, თავის მხრივ, დაარწმუნა მოწინააღმდეგე მხარე, რომ მისი გრძელვადიანი უსაფრთხოების ინტერესებიდან გამომდინარე, საქართველოსა და უკრაინაში უნდა მომხდარიყო გავლენების გადანაწილება.**

აღნიშნული გარიგების შედეგად, აფხაზეთსა და ცხინვალში, **გარკვეული (შეთანხმებული) სამხედრო-პოლიტიკურ-ეკონომიკური მანიპულაციების შედეგად,** განთავსდა რუსული სამხედრო ბაზები, რაც მყიფე ჩრდილო კავკასიის რეგიონის სახელმწიფო წარმონაქმნებზე, აგრეთვე, სამხედრო-სტრატეგიული და გეოპოლიტიკური თვალსაზრისით უაღრესად მნიშვნელოვან შავ ზღვაზე რუსული კონტროლის გაძლიერების პირობაა.

რუსულ-ამერიკული გარიგებების კონტექსტში ფრიად მნიშვნელოვანია ქართველებისთვის მეტად მტკივნეული, სხვადასხვა მხრიდან არაერთგზის პროვოცირებული, ერთი მოვლენის განხილვა – **რა ინტერესებს შეიძლება ემსახურებოდეს საქართველოში ე.წ. მეორე ფრონტის გახსნა?** დასმულ კითხვას დამაჯერებელი პასუხი რომ გაეცეს, გთავაზობთ ასეთი ცნობილი ხერხის გამოყენებას – ერთი წუთით წარმოვიდგინოთ, **რა რეალური შედეგი შეიძლება მოჰყვეს რუსეთთან საომარი მოქმედებების განახლებას,** უფრო კონკრეტულად - **ამით ვინ დარჩება მოგებული და ვის მოუწევს დროშების დახრა.**

რასაკვირველია, ეს არ იქნება „გასეირნება“ სოხუმსა და ცხინვალში და საერთოდ, მოვლენების მოსალოდნელ განვითარებას **არანაირი პირდაპირი კავშირი არ ექნება სოხუმთან და ცხინვალთან. რუსული იერიშის მთავარი და ერთადერთი სამიზნე იქნება თბილისი და შეტევა განვითარდება იმდენი მიმართულებიდან, რამდენსაც კრემლი გადაწყვეტს, ხოლო ომი იმდენ ხანს გაგრძელდება, რასაც რუსულ-ამერიკული გეგმის ინტერესი მოითხოვს.**

შემდგომ ამისა, **NATO-ს „ღია კარში“ უსასრულო და უიმედო მოლოდინში მყოფ საქართველოს ხელისუფლებასა და ხუთი თვითმფრინავითა და სამოცდაათი ტანკით აღჭურვილ „უძლეველ“ ქართულ ჯარს მოუწევს უსიტყვო კაპიტულაცია.** ძალთა ბალანსი ისეთია, წინასწარ გამიზნული გმირობა და თავგანწირვა დიდ სისულელედ რომ ჩაითვლება.

ერთი მნიშვნელოვანი დაზუსტება – ანალიზის ადრესატი არ არის ის მკითხველი, ვისაც სჯერა, რომ „ბომბების წვიმაში“ ამაყად მდგომი ლომჯარიასა და გიგაურის დანახვით გულაჩუყებული **ოფიცერი დეგნანი, ოფიცერი კინზინგერი და გენერალი ჰოჯესი უზრუნველყოფენ გაერთიანებული ძალების კონტინგენტის ოპერატიული ჩართულობით ომის ბედის ჩვენს სასარგებლოდ გადაწყვეტას.**

რაც შეეხება პოლიტიკურ შედეგებს... **რუსეთი საბოლოოდ განიმტკიცებს თავის ყოფნას საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე,** თანაც „მისდამი მტრულად განწყობილ“ ქართველებზე გადაბრალებით; **სრულად (აღდგენის პერსპექტივის გარეშე) დავწვავთ აფხაზ და ოს თანამოქალაქეებთან მისასვლელ ხიდებს;** ამერიკელები **კიდევ უფრო იმიჯშერყეულად გამოაცხადებენ კონკურენტ ზესახელმწიფოს** (რაც მას, დიდი ხანია, ცალ ფეხზე ჰკიდია) და **კიდევ ერთხელ შეახსენებენ მოკავშირეებს რუსული საფრთხის შესახებ;** რაც მთავარია, ომში დამარცხებული **„ქართული ოცნების“ ადგილს შეავსებენ „ჩვენი ნაძირალებით“ და გაიმყარებენ პოზიციებს ქვეყნის ტერიტორიის 80%-ზე,** რითაც სამუდამო მფლობელობაში მიიღებენ კიდევ ერთ მნიშვნელოვან **„სტრატეგიული დანიშნულების პუნქტს“.** ძალთა ამ ახალ გადანაწილებას თან უამრავი დეტალიც ახლავს, რომლებზეც ამჯერად ყურადღებას აღარ გავამახვილებთ.

„მეორე ფრონტის“ მოსალოდნელი შედეგების შემაჯამებელი დასკვნა ასეთ მძიმე შინაარსს შეიძენს: **პროცესს ეყოლება ორი გამარჯვებული – რუსეთი და ამერიკის შეერთებული შტატები და ერთი დამარცხებული -– ორ კოლონიურ წარმონაქმნად გახლეჩილი საქართველო.**

როგორც წერილის შესავალში ითქვა, მსგავს განვითარებას უნდა ველოდეთ უკრაინის შემთხვევაშიც, ოღონდ **არა ვარაუდის დონეზე, არამედ განხორციელებული ამოცანის სახით.** რაც ომის დაწყებამდე, სამი ათწლეულის განმავლობაში ხდებოდა აქ და იქ, ორი წვეთი წყალივით ჰგავს ერთმანეთს. **უკრაინის დღეს მოქმედ „გაურკვეველი პოლიტიკური წარმომავლობის“ ხელისუფლებას ესტაფეტის ბოლო მონაკვეთის გადალახვაზე აკისრია ჩვენს მიერ საეჭვოდ დანახული პასუხისმგებლობა.**

ამ უკანასკნელისგან განსხვავებით, ქართულ ნიადაგზე მდგომმა საქართველოს მმართველმა გუნდმა, ბიძინა ივანიშვილის დამსახურებით, **ათი წლის წინ გაწყვიტა უფსკრულისკენ ჩაშვებული ჯაჭვი და თანმიმდევრულად, ნაბიჯ-ნაბიჯ შეუდგა დამოუკიდებელი პოლიტიკის წარმოებას.** მადლობა ღმერთს, საქმე ჯერჯერობით ჩვენი გეგმის მიხედვით მიდის. ომის დასრულებამდე ვერ ვიტყვით, რომ საფრთხეები მოხსნილია, მაგრამ იმის თქმა თამამად შეგვიძლია, რომ მთავარი მიზანი მიღწეულია – **ქვეყნის გადარჩენისთვის მძიმე, რთულ და უთანასწორო ბრძოლაში ხალხი და ხელისუფლება ერთიანია(!).**

**ბიძინა დვალი,**

01.02.2023 წ.

---

# ვიქტორ ყიფიანი: ვიბრძვით სასამართლოებში, მოლოდინი არის ოპტიმისტური!

**ვიბრძვით სასამართლოებში და სასამართლოს სხდომათა დარბაზებს მიღმა მოლოდინი არის ოპტიმისტური, რადგან ჩვენ ვართ მართლები, ჩვენი პოზიცია არის არგუმენტირებული და კონკრეტულ ფაქტებზე დაყრდნობილი,** – ამის შესახებ ბიძინა ივანიშვილის ადვოკატმა, ვიქტორ ყიფიანმა „კრედიტ სუისთან“ ბიძინა ივანიშვილის დავაზე საუბრისას განაცხადა.

**„როგორც კი მოლოდინი გადაითარგმნება კონკრეტულ შედეგში, მედიის ინფორმირებას აუცილებლად მოვახდენთ. წელს ველოდებით კონკრეტულ გადაწყვეტილებებს. დინამიკიდან გამომდინარე, კონკრეტული ვადა არის ჩვენთვის უცნობი, მაგრამ ვფიქრობთ და მოლოდინი არის, რომ გადაწყვეტილება იქნება სადღაც მარტიდან სექტემბრის მონაკვეთში. რაც შეეხება იმ თემებს, რასაც ჩვენ არაფორმალური სანქცირების სახელით შეზღუდვები ვუწოდეთ, ესეც კონკრეტულ სამუშაო დინამიკაშია. ეს სამუშაო უკავშირდება ორ ტრასტზე ანგარიშებზე შეუზღუდავი წვდომის მიღებას, აქაც, იმედია, რომ გარკვეულ ეტაპზე მეტი ინფორმაცია გვექნება, რათა საზოგადოების ინფორმირება მოვახდინოთ.**

**აქტივების მესაკუთრეს როდესაც ეზღუდება კანონიერი უფლებების განხორციელება მისთვის კუთვნილი აქტივების რეალიზების კუთხით, რა თქმა უნდა, ეს შეზღუდვა სხვა არაფერია, თუ არა კანონით აკრძალული მოქმედება. ჩვენ ამ მოქმედებას სწორედ არაფორმალური, ანუ კანონის მიღმა არსებული შეზღუდვა-სანქცია ვუწოდეთ. ჩვენ უკეთესის მოლოდინში ვართ და ოპტიმიზმს არ ვკარგავთ“...**

---

# ეროვნული თანხმობის დეკლარაცია

ანალიტიკური ცენტრის **„ჯეოქეისის“** თავმჯდომარე **ვიქტორ ყიფიანი** და საქართველოს სტრატეგიული ანალიზის ცენტრის დამფუძნებელი **ნოდარ ხარშილაძე** სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტებს შეხვდნენ.

მათ ეროვნული თანხმობის დეკლარაცია წარუდგინეს. მიზანი საზოგადოებაში პოლარიზაციის შემცირების ხელშეწყობა და საერთო ღირებულებებზე დაფუძნებული მრავალმხრივი თანამშრომლობის პლატფორმის შექმნაა.



**„ინიციატივის მიზანია ჯანსაღი აკადემიური აზრის მობილიზება, რომელიც დაფუძნებული იქნება კომპეტენციაზე, ცოდნასა და ექსპერტიზაზე. ჩვენ ვმუშაობთ რეკომენდაციათა პაკეტზე ქვეყნის განვითარებისთვის სხვადასხვა მიმართულების მხრივ. როდესაც ამ მუშაობას დავასრულებთ, ამ პაკეტს წარვუდგენთ ხელისუფლებას, გადაწყვეტილებებს მიმღებს და მოვისმენთ, თუ როგორი იქნება მათი რეაქცია“,** – განაცხადა ვიქტორ ყიფიანმა.



იყოს „ქართული ოცნებისთვის“. ისე რომ, ჩუმი მითქმა-მოთქმა ამ თემაზე სრულიად ზედმეტია. დიაღაც, ოცნების სასიკეთოდ წარიმართა მოვლენები ანუ ნაცების არჩევნები.

რაც შეეხება „ძვირფასი“ ნიკა მელიასა და „უფრო ძვირფასი“ ლევან ხაბეიშვილის პიროვნულ შედარებას, უპირატესობა აშკარად მელიას მხარესაა. თუნდაც იმით, რომ სანამ ეს კაცი პირს გააღებს, გგონია, რომ რაიმე ჭკვიანურს იტყვის, ხაბაკა კი, რომლის ზურგსუკნიდან ვანუა მერაბიშვილი და დავით კეზერაშვილი იჭყიტებიან, მიკროფონთან რომ მივა, უმალ ამირან დარეჯანის-ძის ლექსი გაგახსენდება: „რას მიცინი, დევის ქალო, რას მიელვებ თეთრსა კბილსა“... (როგორც ბოროტი ენები ამბობენ, ხაბაკას ეს თეთრი კბილები კეზერაშვილის ჩასმული ყოფილა და, თუ მას რამე არ მოეწონა, შეიძლება როგორც ჩაუსვა, ისევე დააძროსო).

ზევით ვთქვით, რომ არჩევნებგავლილმა პარტიამ თავის უპირველეს ამოცანად მიშა სააკაშვილის გათავისუფლება – „მისი სიცოცხლისა და ჯანმრთელობის გადარჩენა“ გამოაცხადა. არადა, ღმერთმა ხომ იცის, რომ „მიშას სიცოცხლე და ჯანმრთელობა“ უმრავლესობას სულ ფეხებზე ჰკიდია. უბრალოდ, სათქმელად მომგებიანია, სიტყვისთვის სჭირდებათ, ამ გადარჩენის ორი ვარიანტი არსებობს: სამკურნალოდ მიშას უცხოეთში გადაყვანა ან მსჯავრის გადავადება გამოჯანმრთელებამდე.

ამ დღეებში მესამე ვარიანტ-მიზანიც გვამცნო ენაწყლიანმა რებული ბინა და დიდი ოდენობით თანხა (ერთი მილიონი გრივნა ანუ 27 ათასი დოლარი) გადაუფორმა. თავი დავანებოთ იმას,რომ იმავე ინფორმაციით საქართველოს მესამე პრეზიდენტს ეს ბინა არასოდეს ჰქონია შეტანილი რომელიმე დეკლარაციაში, ახლად შეძენილი ქალიშვილისთვის ნაჩუქარი ეს ბინა არ უნდა აგვერიოს ასევე კიევის ცენტრში კოსტელნაიას 37-ში მდებარე 52 კვ. მ. ფართობის ორსართულიან პენტჰაუსში, რომელიც მიშას 6000 დოლარად ჰქონდა ნაქირავები (ამ პენტჰაუზის სახურავზე დააკავეს იგი 2017 წელს უკრაინელმა სამართალდამცავებმა).

**მთავარი აქ ისაა, რომ 2022 წელს საქართველოს მესამე პრეზიდენტს, ამჟამად პატიმარს მეოთხე შვილი შეეძინა (ეს, რაც ჩვენ ვიცით). ღმერთმა გაუზარდოს და უბედნიეროს. ჟასმინის ამქვეყნად მოვლენას იმიტომ ვუსვამ ხაზს საგანგებოდ, რომ ამას სწორედაც საგანგებო მნიშვნელობა აქვს. ისმება ისეთივე თავსატეხი კითხვა, როგორიც ასმათის შემთხვევაში: როდის დაორსულდა ლიზა იასკო?**

სანამ ბავშვის დაბადების ზუსტი თარიღი არ ვიცით, უნდა ვიმარჩიელოთ.

2022 წლის 2 თებერვალს გამოქვეყნებულ სტატიაში უკრაინელი ჟურნალისტი წერდა, რომ ლიზა უკვე ორსულად იყო მიშასგან, ოღონდ მუცელი ჯერ არ ეტყობოდა. მაშ ასე,

# ჩაჩოჩება ენმ-ში და საიდუმლო ორსულობა

**ველოდით, ველოდით გულგადალეულნი და მოვესწარით – ნაცმოძრაობის ახალი თავმჯდომარე, ახალი გიგანტი არჩეულია. უკვე ვიცით სახელი იმ კაცისა, ვინც ენმ-ს გაიყვანს გაღმა, მარილზე, გამარჯვების ნაპირზე. ვინც შეადუღაბებს, საბოლოოდ დაშლის და მოსპობს ისედაც მომსპარ და მონიორწყლებულ ნაცების პარტიას! ეს კაცი გახლავთ ლევან ხაბეიშვილი, ჩვენი ხაბაკა, ხაბაკ-ხუბაკა, რომელმაც მასებს თავი დაამახსოვრა მიკროფონში ხლიჩინით, ხშირ-ხშირი დაბეთქვითა და სისხლსავსე უინტელექტობით.**

მელია დამარცხდა. დამარცხდა გამოსავლის მისეული ამაოძიება. თანაპარტიელებმა არ აპატიეს, რომ ბოლომდე, რევოლუციამდე ვერ მიიყვანა ბოღმიანი აღტყინება და შემართება და მთელი ძალისხმევა თბილისის ქუჩებში წინ და უკან მარშით სიარულში გახარჯა.

პარტიამ იცის, რომ ხაბაკა ამას არ იქმს, ეს პრაგმატული, გონიერი კაცი წინ და უკან კი არ აბოდიალებს სარევოლუციოდ შემართულ დემონსტრანტებს, არამედ მიზანმიმართულად ჩაიყვანს ცენტრიდან დიღმის ტყე-პარკამდე და ასევე მიზანსწრაფულად ამოიყვანს უკან, ე.წ. როსტომ მეფის სასახლესთან.

გამარჯვებულმა ნაცმოძრაობის ხაბაკას ფრთამ (ამ გამარჯვებამ დაზაფრა საზოგადოება-თამარ ჩერგოლეიშვილი) სრულიად ენმ-ის პროგრამა-მაქსიმუმად, უზენაეს მიზნად გამოაცხადა ბელადის მიხეილ სააკაშვილის გათავისუფლება „ვივამედის“ კლანჭებიდან!

კეთილშობილური მიზანდასახულებაა, ვერაფერს იტყვი. მაგრამ ხელისუფლებამ, ერთიც ვნახოთ, თავი მოიგიჟიანა და ეს ყელში ამოსული პატიმარი მესოპოტამიაში გაგზავნა სამკურნალოდ, მერე რას აპირებენ? მართლა გაქრებიან რადარებიდან – დატოვებენ პარლამენტს, საკრებულოებს, ოფისებს „ოცნებას“ გადაუფორმებენ, როგორც მეორე დღესვე გასცა დაპირება ახალმა თავმჯდომარემ? თვითლიკვიდაციას გამოაცხადებს თუ უვადო შვებულებაში გავა ეს ნაჯაფი პარტია? ან იქნებ საკომპენსაციოდ ნიკა გვარამიას გაუკეთებენ სადროშე ტარს?

**მომაკვდავმა მიშამ, როგორც ირკვევა, სრულად აღიქვა მომხდარი ისტორიული არჩევნების შედეგი და სწორედ ოიდიპოსის სფინქსივით გამოხატა თავისი დამოკიდებულება, დაახლოებით ასე, მელია ძვირფასია, მაგრამ ხაბეიშვილი უფრო ძვირფასიაო. ძვირფასია და ღმერთმა სიკეთეში მოგახმაროს შენცა და მთელ ნაციონალურ მოძრაობასაც. ოღონდ, ერთი მოულოდნელობა უკვე მოხდა: გამარჯვებულებმა გამოაცხადეს, ჯერჯერობით არავითარი ქუჩის აქციები არ იქნებაო. ისე რომ, მომაკვდავს ცოტა დაცდა მოუწევს, სანამ თბილისის ქუჩა-ფოლორცებში ყოვლისგადამბუგავი ცეცხლი დაინთება და „ვივამედს“ შთანთქავს.**

**ენმ-ში მომხდარ ჩაჩოჩებასთან დაკავშირებით უკვე ბევრი ითქვა და კიდევ ბევრი ითქმება. დასამალი როდია, რომ კომენტატორთა უმრავლესობა იმაზე წუწუნებს, რა ეშველებათ აწი ზოგადად ნაციონალებსო. ნუგზარ წიკლაურმა პირქუშად განაცხადა, ეს უკან სვლააო! სამწუხაროდ, გაიმარჯვა ფულმა და არაფორმალურმა მმართველობამ და არა პოლიტიკურმა იდეებმაო! გია ხუხაშვილმა სულ ვენები გადაიჭრა, ეს ქუჩის ხულიგანი ხაბეიშვილი როგორ გაძვრა პარტიის სათავეშიო...**

ერთი რამ ცხადია. ამ არჩევნებმა, რომელმაც ხაბაკა გაათავმჯდომარა, სათავე დაუდო ნაციონალური პარტიის სამომავლოდ კიდევ უფრო დასუსტებას, უეჭველ დაშლა-დაქუცმაცებას. მისი რიგებიდან ბევრი შედარებით ინტელექტუალი უკვე წავიდა, რაც, ბუნებრივია, არ შეიძლება საამო არ ქალბატონმა გიული ალასანიამ - „მიშას ციხიდან გამოშვება“, ჰოდა, ხაბაკას და მის რაზმს უფრო დაუკონკრეტდა ახალი გმირული მოქმედების არეალი.

ახლა მიშას, ამ მომაკვდავი კაცის ცხოვრების ერთ ინტიმურ ეპიზოდს მინდა მკითხველის ყურადღება მივაქციო, ყველაზე თვალნათლივ რომ წარმოაჩენს მის წამებასა და ტანჯვა-ვაებას.

ცოტა შორიდან დავიწყებ.

რამდენიმე წლის წინათ პოეტმა პაატა შამუგიამ რუსთველოლოგიაში „გარღვევა“ მოახდინა.

მოგეხსენებათ, ჩვენი რევოლუციონერ-მაძიებელი ახალგაზრდობა თამამად ანგრევს დრომოჭმულ, დახავსებულ-დამ

**პოეტმა პაატა შამუგიამ განაცხადა, ველად გაჭრილი ტარიელი რომ გამოქვაბულში ცხოვრობს ასმათთან ერთად, მათ შორის სულაც არ არის ისეთი უმწიკვლო ურთიერთობა, როგორსაც შოთა გვიხატავსო, ასმათი უთუოდ ორსულად იყო ტარიელისგანო.**



ყაყებულ სტერეოტიპებს და მავნე გადმონაშთებს. გულის შემაღონებელი ტრადიციების მარყუჟებიდან დახსნილმა ჭაბუკებმა და ქალიშვილებმა მრისხანედ შეუტიეს ერის ნიშან-სვეტებს, მძლავრ, იმედისმომცემ ტენდენციად აქციეს მართლმადიდებლობის, კონკრეტულად ქართული ეკლესიის და სხვათა წინააღმდეგ ბრძოლა. მათ „თვალი აუხილეს“ დაბრმავებულ, გამოთაყვანებულ საზოგადოებას, „შეუბერეს“ რუსთაველსაც. პოეტმა პაატა შამუგიამ განაცხადა, ველად გაჭრილი ტარიელი რომ გამოქვაბულში ცხოვრობს ასმათთან ერთად, მათ შორის სულაც არ არის ისეთი უმწიკვლო ურთიერთობა, როგორსაც შოთა გვიხატავსო, ასმათი უთუოდ ორსულად იყო ტარიელისგანო.

როდის დაორსულდა ასმათი? სავარაუდოა, რომ უკანასკნელ, „ქვაბის პერიოდში“, ალბათ, მალევე-იქ შესახლების 2-3 წელიწადში.

ხოლო იმის შესახებ, რომ ასმათი ორსული არ ყოფილა, რუსთაველი, რომელიც უმადური შთამომავლებისგან უთუოდ ელოდა ასეთ მზაკვრულ თავდასხმას, ერთი ფრაზით მიგვანიშნებს. მორიგი ხეტიალიდან დაბრუნებული თვალცრემლიანი უცხო მოყმე გამოგებებულ ქალს ასე მიმართავს: „დაო, ასმათ!“

დამეთანხმებით, სადღაც გადაკარგულში, ხილულ თვალსაწიერში ადამიანი რომ არ ჭაჭანებს,მისგან დაორსულებულ ქალს თავმოყვარე კაცი არამც და არამც „დაოს“ არ დაუძახებდა.

ამის გახსენება იმისთვის დამჭირდა, რომ იქ დასმული კითხვა „როდის დაორსულდა ასმათი?“ თავს იჩენს შემდეგ ამბავშიც.

მეხივით გადიგრიალა ცნობამ, რომ მიხეილ სააკაშვილის ნოტარიული თანხმობით გიული ალასანიამ ახალგაჩენილ შვილიშვილს – მიშასა და ლიზა იასკოს შვილს ჟასმინ იასკოს კიევის ცენტრში კუდრიავსკას ქუჩაზე მდებარე ძვირადღი- მიშას დაპატიმრებამდე თუ დაპატიმრების შემდეგ? თუ დაპატიმრებამდე ანუ მანამდე, სანამ, როგორც ამ დღეებში გერმანულ „შპიგელთან“ ინტერვიუში აღიარა, მოსკოვის ჩანერგილი აგენტები გააბრიყვებდნენ და არაყანში სამარცხვინოდ, უპატიურად ჩაყურსულს შემოაპარებდნენ საქართველოში, ყველაფერი ნათელია, შესაკითხი არაფერია. თუ დაპატიმრების – 2021 წლის 1 ოქტომბრის შემდეგ, აქ იმდენი კითხვის ნიშანი იყრის თავს, რომ სიმართლის დადგენა ერთობ ჭირს. ისევ – მაინც როდის? ( შიმშილობამდე, გაქანებული შიმშილობის ჟამს თუ ნაშიმშილევს), სად? (რუსთავის მეთორმეტეში, გლდანის მერვეში, გორის ჰოსპიტალში, თბილისის „ვივამედში“).

წელიწადი და ოთხი თვეა, რაც სააკაშვილი დაპატიმრებულია, აქედან ათი თვეა „ვივამედში“ იმყოფება.მიმისტებს თუ დავუჯერებთ, ჩაჯდომის პირველივე დღიდან სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზე იყო: არ შიმშილობდა – კვდებოდა, შიმშილობდა – კვდებოდა! „ვივამედში“ ხომ უკვე ათი თვეა ფაქტობრივად სულთმობრძავია, მხოლოდ სუნთქავს, ისიც დრო და დრო. და თუ მან, ცოცხალმკვდარმა კაცმა ქალის დაორსულება შეძლო, თანაც ყოვლად შეუფერებელ გარემოში, ყოჩაღ მას!

ძალაუნებურად გაგახსენდება სამამულო ომის დროინდელი ერთი ამბავი: ფრონტის სარდალი, არმიის გენერალი ჩერნიახოვსკი სტალინთან „ჩაუშვეს“, კარგი მებრძოლი კია, მაგრამ ქალები უყვარს ნამეტნავად და რა ვქნათო (ანუ, როგორ დავსაჯოთო)? სტალინმა დამსმენებს ღიმილით ახედა და მსჯავრი გამოიტანა, ისღა დაგვრჩენია, ამხანაგ ჩერნიახოვსკის შევნატროთო!

**ამრიგად, მტრები მიშას სიცოცხლეს კი უმწარებენ, ამ სიცოცხლეს სასწორზე კი დებენ, მაგრამ კაცურ საქმეში – გამრავლებაში ხელს ვერ უშლიან. და თუ ახლა პარტიულმა დებმა და ძმებმა მისი ქართული მართლმსაჯულების ყულფიდან გამოხსნა და სამკურნალოდ საზღვარგარეთ გაგზავნა მოახერხეს, იმედია, იქ უფრო აქტიურად გამოიღებს ხელს და მკურნალობიდან ახალშეძენილი შვილებით დახუნძლული დაბრუნდება.**

**აი, მაშინ ნახეთ, საზოგადოების უკიდეგანო შური და შენატრება!**

**ალეკო ასლანიშვილი**



# ლადო პაპავა: დღეს უკრაინას სათავეში ძალიან დაუნახავი ხელისუფლება ჰყავს, საქართველოს მიმართ არასწორი დამოკიდებულებით!..

**რუსულ-უკრაინული ცხელი ომის პირობებში, იმ ფონზე, როცა უკრაინის პრეზიდენტი მუდმივად იარაღის მიწოდებას ითხოვს ამერიკის და ევროპული ქვეყნებისგან, მისი ხელისუფლების წარმომადგენლები და თავადაც, დროდადრო, იცლის იმისათვის, რომ საქართველოს ხელისუფლება გააკრიტიკოს. მისი დასაყრდენი პოლიტიკოსები კი შანსს არ უშვებენ ხელიდან, რომ მცდელობა არ ჰქონდეთ, როგორმე საქართველო ომში რაღაც დოზით ჩართულად დაფიქსირდეს. თუ არა ეს, სხვას რას უნდა ნიშნავდეს ფრაზა – „ერთი დანა, ერთი ტყვიაც კი არ გამოგიგზავნიათ, რაც რუსეთმა ოკუპაცია დაიწყო“. მოკლედ, ძნელია ომში მყოფ ქვეყანას დააჯერო, რომ შესაძლებლობის ფარგლებში ეხმარები და არამხოლოდ ჰუმანიტარული ტვირთი, რომელიც საქართველოდან დროულად გიაგზავნა და ყველაზე მასშტაბური აღმოჩნდა, უკრაინის მხარისვე განცხადებით, არამედ ოკუპირებულ საქართველოში უკრაინელი ბავშვებისთვის უკრაინულ ენაზე სწავლის შესაძლებლობის მიცემა უკრაინული სკოლების გახსნით, მართლაც რომ უპრეცედენტოა.**



**ფაქტია, თუ არ უნდა უკრაინულ მხარეს, ამ ყველაფერს არ დაინახავს და ვერ დაინახავს, შესაბამისად, მუდმივად იქნება იქითა მხრიდან საქართველოს ინტერესების საწინააღმდეგო განცხადებები. მსგავს რიგებში ითვლება კასიანოვის განცხადებაც, რომელმაც ლავროვის განცხადების შემდგომ, უკრაინელების საქართველოდან ევაკუაციაზე გააკეთა აქცენტი. კასიანოვის ეს განცხადება რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის საქართველოსთან ავიამიმოსვლის შესაძლო აღდგენაზე გაკეთებულ მინიშნებას მოჰყვა, რაზეც მოგვიანებით საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში მოუწია განმარტების გაკეთება.**

**აკადემიკოსი ლადო პაპავა უარყოფითად აფასებს როგორც კასიანოვის, ისე შემდგომში ყოფილი კონგრესმენის – კინზინგერის განცადებას, რომელიც დაინტერესდა, რამდენჯერ დაიბარა ქართულმა მხარემ რუსეთის ელჩი. მისი თქმით, თუ ეს ინფორმაცია მართალია, გამოდის, რომ კინზინგერმა, მისდა სამწუხაროდ, ისიც კი არ იცის, საქართველოში რა ვითარებაა, რადგან 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ, საქართველომ გაწყვიტა დიპლომატიური ურთიერთობები რუსეთთან და რუსეთის ელჩი 2008 წლის შემდეგ საქართველოში ვერ იქნებოდა. რას ნიშნავს, უკრაინის მხარის მუდმივი თავდასხმები, რაზეა გათვლილი უკრაინელების მხრიდან საქართველოს საწინააღმდეგო განცხადებები და რამდენად სწორი ეკონომიკური პოლიტიკა აწარმოა საქართველოს ხელისუფლებამ ბოლო ერთი წლის მანძილზე? – ამ საკითხებზე აკადემიკოსი ლადო პაპავა გვესაუბრება.**

**– ბატონო ლადო, საუბარში ლიბერალიზმით მოწამლული ცნობიერება ახსენეთ. აი, ამ მოწამლული ცნობიერების რიგებში შეიძლება ჩავაყენოთ უკრაინის ხელისუფლების წარმომადგენლებიც? ფაქტია, უკრაინის ნგრევისა და ამხელა მსხვერპლის პირობებშიც კი, ისინი იცლიან და საქართველოს ხელისუფლებას მუდმივად თავს ესხმიან. ლავროვის განცხადებას მოჰყვა კასიანოვის განცხადება, თუ ფრენები აღდგება რუსეთიდან, უკრაინის მხარე საქართველოში მყოფი უკრაინელების ევაკუაციას დაწყებს. ეს რას ნიშნავს?**

– ეს არის წმინდა წყლის პროვოკაცია! უბრალოდ, უკრაინის ელჩის მოვალეობის შემსრულებელი კიევში რაღაც წრეებისთვის ქულებს იწერს თავისი ანტიქართული გამოსვლებით. სინამდვილეში კი სულ სხვა სურათი იკვეთება. გავიხსენოთ, რომ ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირი იყო, კონფლიქტი როცა დაიწყო სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის მთიანი ყარაბაღის გამო, როდესაც სომხეთმა პრეტენზიები გამოთქვა, მთიანი ყარაბაღი ჩემიაო. საბჭოთა კავშირის დანგრევის შემდეგ იყო სრულმასშტაბიანი ომი ამ ორ სახელმწიფოს შორის. რამენაირად ეს აისახა საქართველოში აზერბაიჯანელებსა და სომხებს შორის ურთიერთობაზე? რაიმე კონფლიქტი იყო? ღვთის მადლით, არა. საქართველო ისტორიულად იყო და დღემდე ისეთი ადგილია, სადაც დაპირისპირებული ერებიც კი თანაცხოვრობენ და არანაირი პრობლემა არ აქვთ. უფრო მეტიც, გავიხსენოთ, რომ საომარი მდგომარეობის მიუხედავად, საქართველოს შავი ზღვის კურორტებზე ერთად ისვენებდნენ და ახლაც ისვენებენ აზერბაიჯანელებიც და სომხებიც. თბილისი გარკვეული პლატფორმა იყო ყოველთვის, მაშინაც კი, როცა მთიანი ყარაბაღის გარშემო იყო გაცხელებული დაპირისპირება, რომ თბილისში ხვდებოდნენ სხვადასხვა არასამთავრობოები, ექსპერტები, საკმაოდ მშვიდობიანად ხვდებოდნენ ერთმანეთს სომხებიც და აზერბაიჯანელებიც. ამიტომ, გავიმეორებ, უკრაინის ელჩის მოვალეობის შემსრულებლის განცხადება არის პროვოკაცია! და რა – რუსები არ შემოდიან საქართველოში, მაინცდამაინც უნდა გადმოფრინდნენ? თუ გადმოფრენა უნდათ, რა, ვერ გადმოფრინდებიან? ძალიან მარტივად დაფრინავს მოსკოვი-ერევანი და ერევნიდან



**კინზინგერმა, მისდა სამწუხაროდ, ისიც კი არ იცის, საქართველოში რა ვითარებაა, რადგან 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ, საქართველომ გაწყვიტა დიპლომატიური ურთიერთობები რუსეთთან და რუსეთის ელჩი 2008 წლის შემდეგ საქართველოში ვერ იქნებოდა.**



**უკრაინის ელჩის მოვალეობის შემსრულებელი კიევში რაღაც წრეებისთვის ქულებს იწერს თავისი ანტიქართული გამოსვლებით. სინამდვილეში კი სულ სხვა სურათი იკვეთება. ფაქტია, დღეს უკრაინას სათავეში ძალიან დაუნახავი ხელისუფლება ჰყავს, არასწორი დამოკიდებულებით საქართველოს მიმართ.**

თბილისამდე 25 წუთიც არ უნდა გადმოფრენას, თანაც ისე, რომ თვითმფრინავი არც კი უნდა შეიცვალო. ამიტომ, ეს ავიაკავშირი მაინც არსებობს. რუსები ერევნის გავლით სომხური ავიახაზებითაც შემოდიან საქართველოში და ავტომობილებითაც უშუალოდ კვეთენ რუსეთ-საქართველოს საზღვარს. ამიტომ, ამ პანიკის ატეხვა უკრაინის ელჩის მოვალეობის შემსრულებლის მიერ, ეს არის იმ სცენარის გაგრძელება, რომლის მიხედვითაც, ისინი მხარს უჭერენ ჩვენი ქვეყნის წინაშე დამნაშავე პიროვნებას – მიხეილ სააკაშვილს, რომელიც სასჯელს იხდის და რომლის მიმართაც შესაძლო დამატებით დანაშაულებზეც მიმდინარეობს სასამართლოს მიერ განხილვის პროცესი. იმასაც შეგახსენებთ, რომ, როდესაც სააკაშვილი იმუქრებოდა, რომ საქართველოში უნდა ჩამოსულიყო და ამ დროს არაჟნების კონტეინერით შემოდიოდა საქართველოში, უკრაინიდან ინფორმაცია ვრცელდებოდა, რომ თურმე, სააკაშვილი ტრუსკავეცში ისვენებდა, ანუ კიევმა ალიბიც კი შეუქმნა.

ფაქტია, დღეს უკრაინას სათავეში ძალიან დაუნახავი ხელისუფლება ჰყავს, არასწორი დამოკიდებულებით საქართველოს მიმართ.

ამიტომ, აქ ხალხზე არ არის საუბარი. საუბარია იმ პოლიტიკურ ელიტაზე, რომელიც ყველანაირად ცდილობს სააკაშვილის გათავისუფლებას და გარკვეული ქულების ჩაწერას დასავლეთს იმ ძალებთან, რომლებისთვისაც სააკაშვილი პოლიტიკურად მნიშვნელოვანი პიროვნებაა, რამეთუ მისი საქართველოში დაბრუნებით უფრო დიდი შანსი იყო მეორე ფრონტი გახსნილიყო, რასაც ზოგიერთი უკრაინელი პოლიტიკოსი საჯაროდ აცხადებდა.

**– კი მაგრამ, ძალიან უარყოფითად აღიქმება ომში მყოფი ქვეყნის ლიდერების სააკაშვილზე და საქართველოს ხელისუფლებაზე ასე აქტიურად რომ საუბრობენ. ასეთი მნიშვნელოვანი რატომ არის უკრაინისთვის დღეს მსჯავრდებული მიხეილ სააკაშვილი ანუ სისხლის სამართლის დამნაშავე ექსპრეზიდენტის ქვეყნიდან გაყვანა?**

– გავიხსენოთ თუნდაც არესტოვიჩი, რომელიც გარკვეული ძალებისთვის მნიშვნელოვანი ფიგურა იყო უკრაინის ხელისუფლებაში, განსაკუთრებით მაშინ, როცა „გამხმოვანებლის“ როლს ასრულებდა. ჯერ ერთი, უკრაინის ინტერესში რომ არის სადღაც მეორე ფრონტის გახსნა, ეს გასაგებია, რადგანაც ომში მყოფ ქვეყანას ურჩევნია, რომ მოწინააღმდეგეს ჰქონდეს მეორე ფრონტიც, რომ მოხდეს ძალების გადანაწილება. მაგრამ საქართველო ის ქვეყანა ვერ იქნება, რომელსაც შეუძლია მეორე ფრონტი გახსნას. ჯერ ერთი, რუსული სამხედრო ბაზები 2008 წლიდან უკვე საქართველოშია, ჩვენი ტერიტორიები უკვე ოკუპირებულია, თანაც თბილისიდან 25 კილომეტრში არის რუსული სამხედრო ბაზა. ასევე დასავლეთ საქართველოშიცაა რუსული სამხედო ბაზა, კერძოდ, აფხაზეთში. ასე რომ, საქართველოს ჩაბმა რუსეთ-უკრაინის ომში, დიდი ალბათობით, შესაძლოა, საქართველოს სრული განადგურებით დასრულდეს. დარწმუნებული არ ვარ, საქართველო რომ ჩაერთოს ომში, ამით მართლაც სერიოზულად შეუმსუბუქდება მდგომარეობა ისევ და ისევ უკრაინას. რა თქმა უნდა - არა, მაგრამ ხელისფლებას, ხომ შეერყეოდა პოზიციები, რაც სააკაშვილის და მისი ადგილობრივი თუ უცხოელი მხარდამჭერების ინტერესებშია...

ადამიანის გასაგრიყვებლად, უწინარეს ყოვლისა, მცდარი ინფორმაცია გამოიყენება. მცდარ ინფორმაციაზე საკუთარი ნებით, თუ მოტყუებით გაგრიყვებულები „ენას შეგვაჩვევენ“ და მერე ყველას ჰგონია, რომ ეს მართლაც ასეა. საცოდაობაა, თუ კიზინგერმა მართლა არ იცის, რომ 2008 წლის შემდეგ საქართველოში რუსეთის ელჩი არ არის და მას ვერავინ დაიბარებდა. ამ დროს გამოდის საქართველოს კრიტიკით. ეს არის უბრალოდ, რბილად რომ ვთქვათ, ამორალური... არანაკლებ აღმაშფოთებელი იყო ევროპარლამენტარი ქალბატონის, ვიოლა ფონ კრამონის პოზიცია, რომელსაც ეგონა, რომ საქართველოს პრემიერ-მინისტრის რანგში ჯერ კიდევ გიორგი გახარია იყო!

**– ამ რთულ პირობებში ეკონომიკური პოლიტიკა რამდენად სწორად წარმართა ხელისუფლებამ? ვისმენთ, რომ გადაიდგა ძალიან მნიშვნელოვანი ნაბიჯები, არის ეკონომიკური ზრდა. მოსახლეობაში კი მაინც არის განცდა, რომ საზოგადოება ამას ვერ გრძნობს. ყველაფერი გაძვირდა.**

– ის, რომ საქართველო არ გაება „ომის მახეში“, არ აჰყვა პროვოკაციებს, არ აჰყვა თუნდაც ემოციებს და შეინარჩუნა ჯანსაღი გონება და ქვეყანა არ ჩართო ომში, ამან გამოიწვია ის, რომ საქართველო გახდა საკმაოდ მიმზიდველი ბიზნე-

სისთვის, მათ შორის იმ ბიზნესისთვის, რომელიც ადრე ბაზირებული იყო უკრაინაში, ბელორუსსა თუ რუსეთში. ბიზნესის ნაწილი გადმოდის საქართველოში. ამიტომ სწორედ მშვიდობა გახდა გარკვეულწილად გარანტია ამ ბიზნესისთვის. რაც მთავარია, გაჩნდა ახალი, შუადერეფნის პროექტი. ეს პროექტი, რომელიც ედუარდ შევარდნაძის დროიდან მოყოლებული ცნობილი იყო „ახალი აბრეშუმის გზის“ სახელით, სულაც არ არის ახალი. ჯერ კიდევ ედუარდ შევარდნაძის პრეზიდენტობის დროს განხორციელდა კასპიური ენერგეტიკული რესურსების ტრანსპორტირება საქართველოზე გავლით დასავლეთის მიმართულებით. მაშინ გაკეთდა მილსადენები, ორი ნავთობსადენი და ერთი გაზსადენი. ეს უკვე შემდგარი პროექტებია. მოგვიანებით გაკეთდა რკინიგზა, რითაც ბაქო დაუკავშირდა ყარსს. კერძოდ, ყარსი-ახალქალაქის რკინიგზის რელიეფურად რთული მონაკვეთი იყო გასაკეთებელი. ეს პროექტები ძალზედ მნიშვნელოვანი იყო. ახლა ეს სატრანზიტო დერეფანი კვლავ აქტუალური გახდა, რადგანაც ტვირთები, რომელიც ცენტრალური აზიიდან თუ ჩინეთიდან მიდოდა ევროპაში, რუსეთზე გავლით ვეღარ გადის ამ ომისა და რუსეთის წინააღმდეგ დაწესებული ეკონომიკური სანქციების გამო. ომი რომც დასრულდეს მალე (და ღმერთმა ქნას ეს უკრაინის გამარჯვებით მოხდეს), არა მგონია, რომ რუსეთს სანქციები ადვილად და სწრაფად მოეხსნას. ამიტომ საჭირო გახდა სხვა, ალტერნატიული გზის გამოყენება. ეს გზა გადის საქართველოზე. მაგრამ მთავარი ის არის, რომ დღეს უკვე საუბარია არა უბრალოდ სატრანსპორტო დერეფანზე, არამედ ეკონომიკურ დერეფანზე, ანუ საქართველო უნდა იყოს არა უბრალოდ გამტარი ენერგეტიკული რესურსების, არამედ საქართველო თვითონ უნდა იყოს გარკვეული მწარმოებელი ამ ენერგეტიკული რესურსების. როცა საუბარია შავ ზღვაზე გამავალ ელექტროსადენზე და ამაზე უკვე ხელი მოწერილი აქვს საქართველოს პრემიერ-მინისტრს, აზერბაიჯანის პრეზიდენტს, რუმინეთის და უნგრეთის პირველ პირებს და ევროკომისიაცაა ჩართული, ეს უკვე იძლევა იმის გარანტიას, რომ ეს პროექტი რეალისტურია და ნამდვილად განხორციელდება. აქ უკვე საქართველო უნდა გახდეს ელექტროენერგიის გენერაციის მნიშვნელოვანი წყარო, დაიწყოს ელექტროენერგიის გამომუშავება, როგორც ჰიდრორესურსების, ისევე ენერგიის არატრადიციული წყაროების გამოყენების გზით. მაშასადამე, საქართველო უნდა გახდეს მწარმოებელი ქვეყანა, რაც ნიშნავს, რომ ეს იქნება არა უბრალოდ სატრანსპორტო დერეფანი, არამედ ეკონომიკური დერეფანიც. ეკონომიკური დერეფანი აუცილებლად დადებითად აისახება საქართველოს მთელ ეკონომიკაზე.

რაც შეეხება მოსახლეობის უკმაყოფილებას, რა თქმა უნდა, უკმაყოფილო იქნება იმიტომ, რომ ჯერჯერობით სტატისტიკურად ასეა, რომ ეკონომიკის 10%-იანი ზრდა გვაქვს, მაგრამ ინფლაციაც თითქმის 10%-იანია, ანუ, პრაქტიკულად, შეიძლება ითქვას, რომ ინფლაციამ „შეჭამა“ ეკონომიკური ზრდა. ეს ინფლაცია კი ნამდვილად არ არის ქართული ფენომენი. ის გლობალური ფენომენია. მთელი მსოფლიო არის ინფლაციური წნეხის ქვეშ. ამერიკის შეერთებული შტატებიდან დაწყებული, თუნდაც, ჩვენი რეგიონით დამთავრებული. თანაც საქართველოში კიდევ არ არის ისეთი მაღალი ინფლაცია, როგორიც ჩვენ მეზობელ თურქეთშია, სადაც საერთოდ ძალიან მძიმე მდგომარეობაა. ინფლაცია გამოიწვია იმან, რომ ჯერ კიდევ კოვიდ-19-ის პანდემიის დროს მოხდა მიწოდების გლობალური ჯაჭვების წყვეტა. შემდეგ ცხელმა ომმა უკრაინაში, რომელმაც ცივი ომის ისეთი გამოვლინება გამოიწვია, როგორიც არის „ნავთობის ომი“ და „სურსათის ომი“, გააღრმავა ეკონომიკური არასტაბილურობა. შედეგად მთელ მსოფლიოში ფასების მატებაა სახეზე. თანაც, ხსენებული მიწოდების გლობალური ჯაჭვებიც ბოლომდე არ არის აღდგენილი, და არც ახალია შექმნილი. უმთავრესად, აი, ეს მიზეზები განაპირობებენ მთელ მსოფლიოში მაღალ ინფლაციას. გასათვალისწინებელია, რომ ზემოხსენებული შუადერეფანი, ანუ სატრანსპორტო და, განსაკუთრებით, ეკონომიკური დერეფანი, რომელიც საქართველოზე უნდა გავიდეს, ქმნის მიწოდების მნიშვნელოვან, ახალ გლობალურ ჯაჭვს.

სანამ მიწოდების პრობლემა გლობალურად არ აღდგება, ინფლაცია იქნება მაღალი და ის არ არის უშუალოდ ქართული პრობლემა, ეს პრობლემა გლობალურია.

**ესაუბრა**
**შორენა კოწოწაშვილი**

# ჯანდაცვის პროგრამებს 27 მილიონი ლარი მოხმარდება!
# ვარკეთილის მეტრო ორი თვით დაიკეტება!
# სტუდენტთა სამ კატეგორიას სწავლა დაუფინანსდება!

**თბილისის მერიაში გუშინ მუნიციპალიტეტის მთავრობის მორიგი სხდომა გაიმართა. დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვამდე, დედაქალაქის მერმა, კახა კალაძემ რამდენიმე განცხადება გააკეთა და აღნიშნა, რომ ტაქსების რეფორმის მესამე ეტაპი პირველი აპრილიდან ამოქმედდება.**



**„საზოგადოებრივი ტრანსპორტის რეფორმა** (sic) — **„სატრანსპორტო რეფორმა ბევრი კომპონენტისგან შედგება. ერთ-ერთი მიმართულება ტაქსების განვითარებაა. 2018 წლიდან ვახორციელებთ ტაქსების რეფორმას. 2019 წელს ამ რეფორმის მეორე ეტაპი განვახორციელეთ. წელს, პირველი აპრილიდან ამოქმედდება ტაქსების რეფორ-**



**მის მესამე ეტაპი. უკვე შევიმუშავეთ ამ მიმართულებით ცვლილებები. ხვალ მინდა დეტალურად წარვუდგინო ჩვენი ხედვა საზოგადოებას. მინდა, ყველა დაინტერესებულ პირს ვთხოვო, ყურადღებით გაეცნოს აღნიშნულ ინფორმაციას“,** – განაცხადა კახა კალაძემ.

**„ხვალიდან თვენახევრის განმავლობაში, ვაწარმოებთ საკმაოდ აქტიურ საინფორმაციო კამპანიას. ტაქსის მძღოლებს დაურიგდებათ საინფორმაციო ბუკლეტები. გარდა ამისა, გადამზადებული არიან მერიის თერთმეტივე სერვისცენტრის თანამშრომლები, ცხელი ხაზის ოპერატორები და მზად არიან, დაეხმარონ და დეტალური ინფორმაცია მიაწოდონ ნებისმიერ დაინტერესებულ პირს“,** – აღნიშნა კახა კალაძემ.

თბილისის მერმა მეტროსადგურ „ვარკეთილის“ რეკონსტრუქციის სამუშაოებზეც ისაუბრა, რომელიც 9 თებერვალს დაიწყება. სამუშაოებს კომპანია „ბადა კონსტრაქშენი“ განახორციელებს, პროექტის ღირებულება კი 13,4 მლნ ლარს შეადგენს.

**„ვიწყებთ მეტროსადგურ „ვარკეთილის“ რეაბილიტაციას. აქ თბილისის წინა მთავრობის პერიოდში, გარკვეული სამუშაოები განხორციელდა, თუმცა, გვახსოვს რა სავალალო შედეგი მოჰყვა – ჭერის ჩამოინგრა! მას შემდეგ მეტროსადგურის მოწესრიგება ვერ მოხერხდა. იყო ბევრი პრობლემა კომპანიებთან, პასუხისმგებლობის აღებასთან დაკავშირებით. ვიღებთ კრიტიკას, რომ ამდენი წელი მუნიციპალიტეტმა სადგურის რეაბილიტაცია ვერ დაიწყო. სარეაბილიტაციო სამუშაოებს კომპანია „ბადა კონსტრაქშენი“ შეასრულებს, რომელიც ასევე, მეტროსადგურ „ავლაბრის“ სარეაბილიტაციო პროექტს ახორციელებს.**

**სამუშაოს შესრულების ჯამური ვადა შეადგენს 18 თვეს და მომავალი წლის ზაფხულში უნდა დასრულდეს“,** – განაცხადა კახა კალაძემ.

**„გარდა ამისა, შემუშავდა სამუშაოთა წარმოების პროექტი, რადგანაც მეტრო განსაკუთრებული ობიექტია. „ვარკეთილის“ დაბლა ბაქანზე და დახრილ გვირაბში აზბესტის ჭერის უსაფრთხო დემონტაჟი-მონტაჟის სამუშაოებისთვის მეტროსადგური დაიკეტება, დაახლოებით, ორი თვით. ალბათ, ეს იქნება ივნისი-აგვისტოს შუალედში. მეტროსადგურის დაკეტვის პერიოდში ვეცდებით, ვარკეთილის მიმართულებით დავამატოთ სათანადო რაოდენობის ავტობუსები, რათა მაქსიმალურად შევუწყოთ ხელი მგზავრებს დანიშნულების ადგილამდე მისასვლელად“,** – აღნიშნა დედაქალაქის მერმა.

კახა კალაძემ მთავრობის დღევანდელ სხდომაზე ქალაქში რეკრეაციული სივრცეების მნიშვნელობაზეც გაამახვილა ყურადღება. აღინიშნა, რომ ბავშვთა ქალაქ „მზიურის“ ტერიტორიაზე, კერძო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის დაბრუნების შედეგად, რეკრეაციული სივრცის მოწყობა იგეგმება.

თბილისის მერის თქმით, მუნიციპალიტეტისთვის დაბრუნებულ ტერიტორიაზე რეკრეაციული სივრცე ყველა თანამედროვე სტანდარტის დაცვით მოეწყობა. აღნიშნული



პროექტის განხორციელების უმოკლეს პერიოდში დაწყება თბილისის მერმა მერის მოადგილე ანდრია ბასილაიას დაავალა.

გარდა ამისა, დედაქალაქის მერმა სტუდენტების დაფინანსების პროგრამაზეც ისაუბრა, რომლის ფარგლებშიც, 2022-2023 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის დაფინანსებისთვის, თბილისის მერიამ დღეიდან განცხადებების მიღება დაიწყო. დაფინანსება ეხება რამდენიმე კატეგორიას: სოციალურად დაუცველის სტატუსის მქონე სტუდენტებს; მრავალშვილიანი ოჯახის წევრ სტუდენტებს; შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე სტუდენტებს.

კახა კალაძის განცხადებით, აღნიშნულ სამ კატეგორიას სწავლა სამივე აკადემიურ საფეხურზე უფინანსდება.

**„გარდა ამისა, სახელმწიფო უნივერსიტეტების წარჩინებული მაგისტრანტებისთვის გაიცემა ფინანსური წახალისება - თბილისის მერიის სტიპენდია. დაფინანსდებიან თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული პირები, რომლებიც ზემოთ ხსენებულ კატეგორიას განეკუთვნებიან. რაც შეეხება დაფინანსების ოდენობას, ეს დამოკიდებულია სტუდენტის მიერ წინა სემესტრში მიღებული შეფასებების საშუალო არითმეტიკულ ქულაზე. ამის გათვალისწინებით, სტუდენტებს შეუძლიათ მიიღონ 50%, 70% ან 100%-იანი დაფინანსება სემესტრული თანხის ფარგლებში, რომელიც არაუმეტეს 1125 ლარია“,** – განაცხადა კახა კალაძემ.

მისივე თქმით, დაინტერესებულმა სტუდენტმა უნდა მიმართოს თბილისის მერიას, წარსადგენ დოკუმენტაციასთან დაკავშირებით კი დეტალური ინფორმაცია მერიის ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსდება.

დედაქალაქის მერმა ასევე აღნიშნა, რომ 4 თებერვალს, კიბოსთან ბრძოლის საერთაშორისო დღეს, თბილისის ანძა, ისევე, როგორც მსოფლიოს სხვადასხვა ქალაქის ღირსშესანიშნაობები, ლურჯად და ნარინჯისფრად განათდება. მისი განცხადებით, მუნიციპალიტეტი სიმსივნური დაავადებების სკრინინგისა და მკურნალობისთვის აუცილებელ არაერთ პროგრამას ახორციელებს.

**„თბილისის მერიამ 2022 წელს დაავადებათა სკრინინგის პროგრამის ფარგლებში, დააფინანსა 130 857 შემთხვევა, მათ შორის, 115 491 გამოკვლევა ეროვნულ სკრინინგ ცენტრში; ძვლის ტვინის გადანერგვის პროგრამის ფარგლებში, 163 შემთხვევა; ძუძუს კიბოს სამკურნალო მედიკამენტები კი, სრულად ან 50%-ით 238 მოქალაქეს დაუფინანსდა“,** – აღნიშნა კახა კალაძემ.

მისი განცხადებით, მიმდინარე წელს ჯანდაცვის პროგრამების მიმართულებით, ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის ბიუჯეტი 27 მილიონზე მეტია. საუბრის დასასრულს, კახა კალაძემ საზოგადოებას უწყების კიდევ ერთი დამსახურებული თანამშრომელი, ნინო ტურძილაძე წარუდგინა, რომელიც თბილისის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურში მუშაობს.





# პეტრე მამრაძე: მერაბიშვილმა სააკაშვილზე შური იძია, გაანადგურა როგორც პოლიტიკურად, ასევე ადამიანურად!

**მიხეილ სააკაშვილის პარტიაში, არჩევნების შედეგების მიხედვით, გავლენები მერაბიშვილ-კეზერაშვილის ხელში გადავიდა. დაიშლება თუ არა ყველაზე დიდი ოპოზიციური პარტია, ამაზე არა მხოლოდ პარტიის, არამედ მიხეილ სააკაშვილის პოლიტიკური მომავალიც დგას. შესაბამისად, მსჯავრდებული ექსპრეზიდენტისთვის ერთობა მნიშვნელოვანია. სააკაშვილი, რომელიც პარტიულ არჩევნებს უდროოს უწოდებდა, ხაზეიშვილს გამარჯვებას ულოცავს, მელიას კი წარსული საქმიანობისთვის მადლობას უხდის...**

**შიდაპარტიული არჩევნების მოგების შემდეგ, ლევან ხაზეიშვილმა პირველი დაპირებებიც გასცა. მიხეილ სააკაშვილს შეჰპირდა, რომ მისი ჯანმრთელობის უზრუნველსაყოფად ბრძოლას განაგრძობს. პარალელურად კი, მზადაა პარტიაში ახალი ადამიანების მისაღებად.**

**„ნაციონალური მოძრაობის“ ნაწილმა, ხაზეიშვილის არჩევა უკან გადადგმულ ნაბიჯად შეაფასა. მელიას ფრთის ნაწილი პარტიაში რჩება და „ოპოზიციის ოპოზიციაში“ ყოფნას აანონსებს.**

ლევან ხაზეიშვილის არჩევას „ნაციონალურ მოძრაობაში“ მხოლოდ თავმჯდომარის ცვლილება არ გამოუწვევია. შედეგების გამოცხადებიდან მალევე, პარტიული თანამდებობები დატოვეს ნიკა მელიას გუნდის წევრებმა. პირველივე დღეს, მინიმუმ 6 თანამდებობა ვაკანტური გახდა. მათ შორის, პოლიტსაბჭოს თავმჯდომარის სავარძელიც. დღის ბოლოს **კობა ნაყოფიამ** ამ თანამდებობაზე უარი თქვა. პარტიული თანამდებობა დატოვა მისმა მოადგილემაც, ახალი კადრით ჩანაცვლდება საორგანიზაციო მდივანიც, სტრატეგიული კომუნიკაციების და პარტიის პრესსამსახურის პოზიციებიც.

პარტიის მმართველობითი რგოლის საკუთარი რჩეულებით დაკომპლექტება ლევან ხაზეიშვილს, თბილისის გარდა, რეგიონებშიც მოუწევს. **გიორგი კირთაძემ**, ვისაც ნიკა მელიას გამარჯვების შემთხვევაში პარტიის გენერალური მდივნის პოზიცია უნდა დაეკავებინა, ბათუმის რაიონული ორგანიზაციის ხელმძღვანელის პოსტი დატოვა. ახლა ყველა იმის მოლოდინშია, როგორ შეასრულებს დაპირებას ხაზეიშვილი და რა რესურსებით შეძლებს სააკაშვილის გამოყვანას.

* * *

„მართვის სტრატეგიული ინსტიტუტის“ ხელმძღვანელი **პეტრე მამრაძე** ამბობს, რომ ლევან ხაზეიშვილის გამარჯვება გარდაუვალი იყო, რადგან მის უკან იდგა, როგორც ფინანსური, ასევე ადამიანური რესურსი, რომელსაც მელია ვერ გაუმკლავდებოდა. მამრაძე ფიქრობს, რომ ხაზეიშვილი შერჩეული ყავს კეზერაშვილ-მერაბიშვილს იმისთვის, რომ რასაც ეტყვიან, ის გააკეთებს. მათთვის ის იქნება მორჩილი პირი, რომელსაც უბრალოდ, სახელად თავმჯდომარე ეწოდება.

**„რა თქმა უნდა, ბოლოს ყველამ კარგად იცოდა და ვნახეთ კიდევაც როგორ გადადიოდნენ ხაზეიშვილის მხარეს, რომ „ნაციონალების“ ძირითადი დამფინანსებელი დავით კეზერაშვილია. სწორედ ამიტომ არ ამოიღო მიხეილ სააკაშვილმა ხმა ხაზეიშვილის წინააღმდეგ და მიულოცა კიდევაც. ფინანსების გარეშე, ჩემზე კარგად ვინ იცის, რომ ენმ ელიტას არანაირი მოტივაცია არა აქვს. მეორე მხრივ კი ვანო მერაბიშვილის ძალა, მისი კომპრომატები და გავლენები, რა თქმა უნდა, პარტიაში ბევრს აშინებს. მერაბიშვილი ციხიდან რომ გამოუშვეს, ბიზნესმენი ოქრიაშვილი, რომელიც „ოცნებაში“ იყო, ასევე მასთან გაიქცა და მერაბიშვილმაც გვერდით დაიყენა. მაშინვე ფოტოც კი გადააღებინა. აი, სწორედ ასე გადაიბირა პარტიაში მყოფი პოლიტიკური ელიტა. მელიამ კი, როგორც ლიდერმა, პარტიაში თავი ვერანაირად ვერ გამოიჩინა. მას არ აღმოაჩნდა ის ქარიზმა, რომლის მეშვეობითაც პარტიაში ხალხის გაერთიანება და მობილიზება შეეძლო. რა თქმა უნდა, ხედავდნენ, რომ მელია კეთილდღეობას ვერ მოუტანდა. ასევე ბევრი პოლიტიკური შეცდომა დაუშვა. ის შეეხო მერაბიშვილს, რომელმაც მისი მოშორება დაგეგმა და განახორციელა. ეს მისთვის ძალიან მარტივი იყო“,** — ამბობს მამრაძე.



**რაც შეეხება ვანო მერაბიშვილის და დავით კეზერაშვილის პოლიტიკაში შემოსვლას და მიზეზს, რის გამოც მათ ეს გადაწყვეტილება მიიღეს, მამრაძე ფიქრობს, რომ პირველ რიგში, მათ ძალაუფლების სურვილი ამოძრავებთ. ასევე მამრაძე მიიჩნევს, რომ მერაბიშვილმა ამით სააკაშვილზე, როგორც იქნა შური იძია. პოლიტიკურადაც და ადამიანურადაც სრულიად გაანადგურა. მამრაძე დარწმუნებულია, რომ მერაბიშვილი იყო ის ფიგურა, რომელიც ლორთქიფანიძესთან ერთად მის ქვეყანაში ჩამოყვანას ხელმძღვანელობდა.**

**„მერაბიშვილი პოლიტიკოსი არ არის. ის არის ადამიანი, რომელსაც ძალაუფლებაში ყოფნის მუდმივი დაუოკებელი სურვილი აქვს და ყველაფერს მხოლოდ ძალისმიერი მეთოდით მართავს. ეს არის კაცი, რომელსაც ინტრიგების, ე.წ. კომპრომატების და შანტაჟის მეტი არაფერი შეუძლია. გვახსოვს, ალბათ, როცა სააკაშვილმა მერაბიშვილი პრემიერად დაასახელა, პრესკონფერენციის ბოლოს ხელები გაშალა და ისე წავიდა. ამ ჟესტით თქვა, რომ სხვა გზა არ მქონდა, თორემ ეს რისი პრემიერ-მინისტრიაო. მერაბიშვილის ყოველი მოქმედება „ოცნების“ წინააღმდეგ კონტრპროდუქტიული იყო. რასაც მერაბიშვილი ივანიშვილის წინააღმდეგ აკეთებდა, უკან მასვე უბრუნდებოდა. ის არ იყო პოლიტიკოსი და არ შეეძლო ვითარება პოლიტიკური შედეგებიდან გამომდინარე ემართა. ახლაც ხაზეიშვილის გამარჯვება შედეგია იმის, რომ მათ ხელთ დიდი ფული აქვთ და**

თუ გვიან, ნიკა მელიას ენმ-იდან წასვლა მოუწევს და ეს, ალბათ, გაზაფხული იქნება. მათ ერთმანეთს გამარჯვება კი მიულოცეს, მაგრამ ანალიტიკოსი ეჭვობს, რომ ეს მხოლოდ ფორმალური აქტი იყო, რომლის შემდეგაც სიტუაცია სრულად შეიცვლება.



**„ახლა ლევან ხაზეიშვილის გამარჯვება ყველაზე მეტად ხელისუფლებას აწყობს. „ოცნება“ ენმ-ში არსებულ მდგომარეობას შესაშინებლად გამოიყენებს. ნაციონალები მმართველ გუნდს უკვე მოგუდული ჰყავს, მორჩა, პარტია, როგორც ასეთი, აღარ არსებობს მერაბიშვილმა ისევ ე.წ. კომპრომატები გამოიყენა. როგორც ჩანს, მელიამ მიიღო პირობა, რომ სიჩუმის სანაცვლოდ მის კიდევ სხვა ჩანაწერებს არ გამოაქვეყნებენ. ის უკვე კარგად ხვდება, ვის შეეჯახა. უბრალოდ, პარტიიდან სამარცხვინოდ გაგდებას, ამ ფორმით თანამდებობის დატოვება ერჩივნა.**

**ალბათ, მერაბიშვილი ახლაც შეეცდება, რომ მსგავსი პატარა პროვოკაციები მოაწყოს. თავის ამომრჩეველს რომ დაჰპირდნენ სააკაშვილს გამოვიყვანთო, რაღაცა ხომ უნდა გააკეთონ. ირაკლი ღარიბაშვილმა სააკაშვილის დაკავების დღეს განაცხადა, რომ მერაბიშვილი იყო, რომელიც სააკაშვილის ქვეყანაში დაბრუნებას აძალებდა. არწმუნებდა, რომ ხალხს ქუჩაში გამოიყვანდნენ. აბა დააკვირდით, მერაბიშვილმა ეს ბრალდება არ უარყო. მას ერთხელაც არ გაუპროტესტებია, რომ სააკაშვილი არ ჩამომიყვანიაო. როგორც ჩანს, ამის მტკიცებულებები არსებობს. ამიტომ იქნება რაღაცა მცდელობა, მაგრამ პირიქით, ეს ხელისუფლებისთვის სასარგებლო პროცესი იქნება“,** — ამბობს პეტრე მამარაძე.

* * *

**რატომ შეიძლება ლევან ხაზეიშვილის გამარჯვება ხელისუფლებას პოლიტიკურად ხელს აძლევდეს და რა ფორმით შეიძლება ეს გამოიყენოს?** — ანალიტიკოსი **ვახტანგ ძაბირაძე** for.ge-სთან ამბობს, რომ, ადრე



**და მისი სიძლიერე დასრულდა. ახლა საქმე იმაში იქნება, რომ ხელისუფლებას ვანო მერაბიშვილის და დავით კეზერაშვილის სახით ის ფიგურები ეყოლება, რომელთა მეშვეობითაც 9-წლიან სისხლიან რეჟიმზე უფრო ადვილად ისაუბრებს. მერაბიშვილს ხალხის ხოცვა ედება ბრალად და იმ სასტიკი რეჟიმის შექმნა, დავით კეზერაშვილს კი ბიუჯეტის და ჯარის გაძარცვა ომის დროს. ეს ხალხი „ოცნებისთვის“ 2024 წლის არჩევნების წინ სრული საჩუქარია. თუკი დასჭირდათ, სიტუაციის კიდევ უფრო დრამატიზება, მაშინ მიხეილ სააკაშვილს შინაპატიმრობაშიც კი გამოუშვებენ. აბა დააკვირდით, სიტუაცია და მოვლენები როგორ იცვლება. სააკაშვილის დედა ამბობს, რომ ქვეყნიდან გასვლა აღარ გვინდა, უბრალოდ სასჯელი გადაუვადეთ და ჩვენ გადავწყვეტთ რას ვიზამთო. ამიტომ ბევრი რამ შეიძლება მოხდეს. არჩევნების წინაც შეუძლია „ოცნებას“ სააკაშვილის ფიგურა ისე გადაათამაშოს, როგორც ეს სურს. თუ ხაზეიშვილი ქუჩაში ხალხის გამოყვანას დაიწყებს, ერთი-ორჯერ გაილახებიან. ხალხში კი ნაცების მიმართ შიში ისევ გაიღვიძებს და ხელისუფლებაც ამით პოლიტიკურად ისარგებლებს. ანუ გამოდის, რომ სიტუაციას „ოცნება“ ოპოზიციაშიც კი მართავს და ხაზეიშვილი საითაც არ უნდა გაიქცეს და რაც არ უნდა გააკეთოს, მაინც წყალს ხელისუფლების წისქვილზე მიუშვებს“,** — ამბობს ძაბირაძე.

ლიკა ბერიკაშვილი




# საქართველო კვლავ საუკეთესოთა შორისაა!

**გამოქვეყნდა „ადამიანის თავისუფლების ინდექსი 2022“, რომელიც მსოფლიოს 165 ქვეყანას და ტერიტორიაზე ადამიანის თავისუფლების ხარისხს ათეულობით სხვადასხვა ინდიკატორზე და კვლევაზე დაყრდნობით სწავლობს. ინდექსს და მსოფლიო რეიტინგს „ფეიზერის ინსტიტუტი“ და „კატონის ინსტიტუტი“ ერთობლივად აწარმოებენ.**

აღსანიშნავია, რომ „ადამიანის თავისუფლების ინდექს 2022“-ის შეფასების სისტემამ წელს მნიშვნელოვანი გადამუშავება განიცადა, რის გამოც მოხდა გასული წლების შეფასების ქულების და სარეიტინგო პოზიციების რეტროსპექტიული გადათვლა, რევიზია და ახლებური ფორმალიზება.

ცვლილებების მიუხედავად, საქართველო მსოფლიო რეიტინგში 11 პოზიციით წინ გადავიდა და 54-ე ადგილიდან 43-ე ადგილზე დაწინაურდა. რეიტინგის ასეთი ან უფრო მკვეთრი გაუმჯობესება საქართველოსთან ერთად მხოლოდ 8 ქვეყანამ მოახერხა. შესაბამისად, საქართველო წლიური თვალსაზრისით რეიტინგში დაწინაურებულთა საუკეთესო ათეულშია.

წლიური პროგრესის გარდა, კვლევამ ყურადღება გაამახვილა XXI საუკუნეში განცდილ 20-წლიან სარეიტინგო პროგრესზე და ქვეყნების მიმდინარე რეიტინგები მეოცე საუკუნის ბოლო წელიწადს, 2000 წელს გამომსახველობითად შეადარა. აქაც საქართველომ მნიშვნელოვანი 23-ადგილიანი წინსვლა აჩვენა და 7 საუკეთესოს შორის მოხვდა. **გამოცემის შეფასებით, 2000 წელს, საქართველო მსოფლიოში 66-ე ადგილზე იყო. ბოლოს ასეთი არასახარბიელო შედეგი, ანუ მსოფლიოში 66-ე ადგილი, მხოლოდ 2012 წელს დადასტურდა. 21-ე საუკუნეში კი ყველაზე ცუდი სარეიტინგო პოზიცია ქვეყანას 2008-2012 წლებში აღმოაჩნდა, როცა მისი რეიტინგი XX საუკუნის ბოლო წლის შედეგსაც კი ჩამოუვარდებოდა და მსოფლიოში 73-ე და 66-ე ადგილს შორის მერყეობდა.**

**„ადამიანის თავისუფლების ინდექს 2022“-ის რეიტინგში საქართველო უსწრებს ევროკავშირის და ნატოს წევრ არაერთ ქვეყანას, სხვადასხვა პარტნიორ სახელმწიფოებს და განვითარებულ ქვეყნებს: პოლონეთს, საბერძნეთს, უნგრეთს, მონტენეგროს, ჩრდილოეთ მაკედონიას, თურქეთს, უკრაინას, მოლდოვას, ისრაელს, სინგაპურს და ა.შ.**

რეიტინგის აგრეგატებიდან აღსანიშნავია „სასამართლოს მიუკერძოებლობის“ ინდიკატორი, სადაც საქართველომ გაუსწრო მსოფლიოსა და ევროპის ბევრ მოწინავე ქვეყანას: **იტალიას, საბერძნეთს, სლოვაკეთს, უნგრეთს, რუმინეთს, ხორვატიას, აგრეთვე ჩრდილოეთ მაკედონიას, მონტენეგროს, უკრაინას, მოლდოვას და ყველა მეზობელ ქვეყანას. ეს ინდიკატორი შემუშავდა მსოფლიოს ეკონომიკური ფორუმის, დემოკრატიის კვლევის ცენტრ V-dem ინსტიტუტის და მსოფლიოს ბანკის გლობალური მმართველობის ინდიკატორების კანონის უზენაესობის შეფასების საფუძველზე, რაც სასამართლო გადაწყვეტილებებში ხელისუფლების ჩაურევლობას, მოსამართლეთა კეთილსინდისიერებას და მთავრობის მხრიდან კანონის უზენაესობის დაცვას აერთიანებს.**

რაც შეეხება „სასამართლოს დამოუკიდებლობის“ ინდიკატორს, აქ საქართველომ უკეთესი შედეგი აჩვენა ვიდრე უნგრეთმა, პოლონეთმა, უკრაინამ, მოლდოვამ და საქართველოს ყველა მეზობელმა ქვეყანამ.



# დავით ქართველიშვილი: ასოცირების ტრიოს წევრი ქვეყნებიდან მხოლოდ საქართველო არ შედის დსთ-ს რიგებში!

## მაშინ, როდესაც დე-იურე მასში დღემდე ირიცხება უკრაინა, ხოლო დე-ფაქტო და დე-იურე - მოლდოვაც!

**დსთ-ს გენერალური მდივნის, სერგეი ლებედევის ინფორმაციით, უკრაინა დე-იურე რჩება დსთ-ს შემადგენლობაში, მან თანამეგობრობის ჩარჩოში გაფორმებული შეთანხმებების მხოლოდ 20% -დან გამოვიდა. ასეა თუ ისე, სხდომის დარბაზში, დსთ-ს სხვა წევრი ქვეყნების სახელმწიფო დროშების გვერდით, ჩვენ უკრაინის დროშაც ვიხილეთ,** – აცხადებს „ხალხის ძალის“ წევრი, დავით ქართველიშვილი. მისივე თქმით, ლებედევის მონაცემებს ინფორმაციის ღია წყაროებიც ადასტურებენ.

**„2023 წლის 31 იანვარს მინსკში გაიმართა დსთ-ს (СНГ) წევრი-ქვეყნების აღმასრულებელი კომიტეტის სხდომა. საქართველოს დელეგაცია მინსკში ვერ იქნებოდა, ვინაიდან 2009 წლის 18 აგვისტოდან, შესაბამისი პროცედურების იურიდიულად გაფორმების შემდეგ, ჩვენმა ქვეყანამ ოფიციალურად დატოვა ამ ორგანიზაციის რიგები. გასაგები მიზეზების გამო, მინსკში ვერ იქნებოდა უკრაინის დელეგაციაც, თუმცა დსთ-ს გენერალური მდივნის, სერგეი ლებედევის ინფორმაციით, უკრაინა დე-იურე რჩება დსთ-ს შემადგენლობაში, მან თანამეგობრობის ჩარჩოში გაფორმებული შეთანხმებების მხოლოდ 20% -დან გამოვიდა. ასეა თუ ისე, სხდომის დარბაზში, დსთ-ს სხვა წევრი ქვეყნების სახელმწიფო დროშების გვერდით, ჩვენ უკრაინის დროშაც ვიხილეთ. ლებედევის ინფორმაციით, დსთ-ს დანარჩენი ხელშეკრულებებიდან და შეთანხმებებიდან - უკრაინა დღემდე არ გამოსულა, თუმცა ორგანიზაციის დარგობრივი საბჭოებისა და სტრუქტურების მუშაობაში აღარ მონაწილეობს.**

**სერგეი ლებედევის აღნიშნულ მონაცემებს ადასტურებენ ინფორმაციის ღია წყაროებიც. რუსეთის მიერ ყირიმის ანექსიის შემდეგ, 2014 წლის 19 მარტს, უკრაინის თავდაცვისა და ეროვნული უსაფრთხოების საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება ქვეყნის დსთ-ში თავმჯდომარეობის შეჩერების თაობაზე. 2014 წლის 8 დეკემბერს უზენაესი რადას დეპუტატებმა დაიწყეს მუშაობა უკრაინის დსთ-ს რიგებიდან გამოსვლის პროცედურის ინიცირებაზე. 2016 წლის 9 ნოემბერს რადაში წარადგინეს დსთ-დან უკრაინის გამოსვლის კანონპროექტი. 2018 წლის მარტში პრეზიდენტი პოროშენკო გამოვიდა წინადადებით - სამთავრობო კაბინეტთან ერთად, მომზადებულიყო დოკუმენტი დსთ-ში ქვეყნის მუშაობის ოფიციალური დასრულებისა და ამ ორგანიზაციაში უკრაინული წარმომადგენლობის საბოლოო დახურვის თაობაზე.**

**2018 წლის 19 მაისს პოროშენკომ მოაწერა ხელი განკარგულებას, რომელმაც მოქმედებაში მოიყვანა თავდაცვისა და ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს გადაწყვეტილება დსთ-ს საწესდებო ორგანოებში უკრაინის მონაწილეობის საბოლოო შეჩერების შესახებ. 2018 წლის 28 აგვისტოს, უკრაინამ დახურა თავისი წარმომადგენლობები დსთ-ში. მიუხედავად ამისა, დსთ-ს აღმასკომმა 2019 წლის 11 ოქტომბერს თავის სხდომაზე დასასწრებად მოსაწვევი გაუგზავნა პრეზიდენტ ზელენსკის, თუმცა იგი ამ შეხვედრას არ დაესწრო. მიუხედავად ამისა, დსთ-ს ყოველ სხდომაზე დაჯავშნილია ადგილი უკრაინული დელეგაციისთვის და სხდომათა დარბაზში წარმოდგენილია მისი სახელმწიფო დროშა – ვინაიდან დსთ-ს აღმასკომს დღემდე არ მიუღია უკრაინის ხელისუფლების მიერ ორგანიზაციიდან გამოსვლის თაობაზე ოფიციალური შეტყობინება.**

**ასევე, დსთ-ში თავის წევრობას აგრძელებს მოლდოვა. გამოდის, რომ, ასოცირების ტრიოს წევრი ქვეყნებიდან, მხოლოდ საქართველო არ შედის დსთ-ს რიგებში, მაშინ როდესაც დე-იურე იქ დღღემდე ირიცხება უკრაინა, ხოლო დე-ფაქტო და დე-იურე – მოლდოვაც. ამავდროულად, გამოქვეყნდა 2022 წლის „კორუფციის აღქმის ინდექსები“, სადაც საქართველო აღმოსავლეთ ევროპასა და ცენტრალური აზიის რეგიონში ლიდერობს და ევროპაში საუკეთესოთა ოცეულშია (იტალიასთან, სლოვენიასთან და ჩეხეთთან თანაბარი ქულებით) და უსწრებს ევროკავშირის 9 და NATO-ს წევრ 11 ქვეყანას. მაშინ, როდესაც სომხეთი ამ მაჩვენებლით მსოფლიოში 63-ე, მოლდოვა – 91-ე, უკრაინა – 116-ე, რუსეთი – 137-ე, ხოლო აზერბაიჯანი – 157-ე ადგილზეა. ფორმალურად და ლოგიკურად, გამოდის, რომ საქართველოსთვის EU-ს წევრობის კანდიდატის სტატუსის მინიჭების პროცედურაში, ჩვენი ქვეყნის 2009 წელს დსთ-ს რიგებიდან გამოსვლის ფაქტორმა რეალურად დახმარება კი არ გაგვიწია, არამედ შეაფერხა ეს პროცესი“,** – აღნიშნავს დავით ქართველიშვილი.

# საქართველოს ეროვნული ბანკი მონეტარული პოლიტიკის განაკვეთს 11 პროცენტზე ტოვებს

**საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის კომიტეტმა მონეტარული პოლიტიკის განაკვეთის (რეფინანსირების განაკვეთი) უცვლელად დატოვების გადაწყვეტილება მიიღო და მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი 11%-ზე დატოვა. ინფორმაციას ბანკის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური ავრცელებს.**

ბანკის ინფორმაციით, საქართველოში წლიურმა ინფლაციამ პიკური პერიოდი გადალახა და შემცირების ტენდენცია აქვს, რასაც საგარეო ფაქტორებიდან მომდინარე წნეხის ეტაპობრივი განეიტრალება განაპირობებს. კერძოდ, გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) თანახმად, სურსათის საერთაშორისო ფასების ინდექსი მარტის შემდგომ მცირდება. ამასთან ერთად, საერთაშორისო ტრანსპორტირების ღირებულებაც კლებას განაგრძობს და დეკემბრის მონაცემებით თითქმის პანდემიამდელ დონეს დაუახლოვდა. აღნიშნული ტენდენციები, გამყარებული გაცვლითი კურსის ფონზე, ადგილობრივ ბაზარს გადმოეცემა და იმპორტირებულ ინფლაციას ამცირებს. მთლიანი ინფლაციის შემცირებას მკაცრი მონეტარული პოლიტიკის ხანგრძლივად შენარჩუნება და ფისკალური კონსოლიდაციაც უწყობს ხელს. განახლებული მაკროეკონომიკური პროგნოზით, სხვა თანაბარ პირობებში, მკაცრი მონეტარული პოლიტიკის ფონზე, წლიური ინფლაცია შემცირებას გააგრძელებს და მიზნობრივ დონეს 2023 წლის მეორე ნახევარში დაუახლოვდება.




**„საერთაშორისო ბაზრების პოზიტიური ტენდენციები ფრთხილი ოპტიმიზმის საფუძველს გვაძლევს, თუმცა მიმდინარე გეოპოლიტიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, გაურკვევლობა კვლავ მაღალია და არსებული რისკები ინფლაციაზე, ძირითადად, ზრდის მიმართულებით მოქმედებს. ამავე დროს, კლების მიუხედავად, ინფლაცია სამიზნე მაჩვენებელს კვლავ აღემატება და მან დეკემბერში 9.8 პროცენტი შეადგინა. ერთმანეთის მიმყოლი შოკების შედეგად, ინფლაცია მისი მიზნობრივი მაჩვენებლიდან ხანგრძლივი პერიოდითაა გადახრილი, რაც ინფლაციურ მოლოდინებს აძლიერებს. მეორე მხრივ, ინფლაციური შოკების ფონზე, ადგილობრივ შრომის ბაზარზე ხელფასები ბოლო პერიოდში პროდუქტიულობაზე მეტად იზრდება, რაც შრომის ბაზრიდან ინფლაციურ ზეწოლას საყურადღებოს ხდის.**

**არსებული მაღალი გაურკვევლობისა და ინფლაციური რისკების გათვალისწინებით, ეროვნული ბანკი ინფლაციის შემცირებაზე კონცენტრირებული რჩება. დამატებითი ზეწოლის აღმოსაფხვრელად და საშუალოვადიან პერიოდში ინფლაციური მოლოდინების ზრდის რისკის შესამცირებლად, მიმდინარე პროგნოზით, საქართველოს ეროვნული ბანკი წლის განმავლობაში მკაცრ მონეტარულ პოლიტიკას შეინარჩუნებს. მკაცრი პოლიტიკის ფონზე, მათ შორის ბოლო პერიოდში ამოქმედებული მაკროპრუდენციული ინსტრუმენტების ზემოქმედების შედეგად, საკრედიტო აქტივობის ზრდამ შენელება განაგრძო და ამ დინამიკის შენარჩუნება მომავალშიც მოსალოდნელია. ამასთან, აშშ დოლარსა და ევროში მოზიდული სახსრების სარეზერვო მოთხოვნებზე ნულოვანი პროცენტის დარიცხვის პირობებში, გლობალურად ფინანსური პირობების გამკაცრება საქართველოში უცხოური ვალუტით დაკრედიტებაზე პოლიტიკის გამკაცრების ეფექტს დამატებით აძლიერებს. პოლიტიკის შერბილება ინფლაციის ფაქტობრივი დონის მიზნობრივ მაჩვენებელთან დაახლოების შემდგომ არის მოსალოდნელი, რამაც გრძელვადიანი მოლოდინების გაუარესება უნდა აგვარიდოს. თუ ინფლაციის მოლოდინებზე ზრდის მიმართულებით მოქმედი ფაქტორები კვლავ გამოიკვეთა, შესაძლოა, მონეტარული პოლიტიკის გამკაცრება ან არსებული მკაცრი პოზიციის უფრო ხანგრძლივად შენარჩუნება გახდეს საჭირო“.**



## როგორ ისარგებლეს პოსტსაბჭოთა ქვეყნების ეკონომიკებმა რუსების მიგრაციით?!

**რუსული ოპოზიციური მედია სტატისტიკურ მონაცემებს აქვეყნებს, რომელზედაც რუსეთში სამხედრო მობილიზაციის გამოცხადების შემდეგ პოსტსაბჭოთა ქვეყნების ეკონომიკების მიერ მიღებული სარგებლის მონაცემებია ასახული.**

**„გამოვთვალეთ „სამხედრო ემიგრაციის“ პირველი წლის ეფექტი. საზღვარგარეთ წასული რუსები დიდ ინვესტიციებს აკეთებენ, ხსნიან ბიზნესს და იზიდავენ ინვესტორებს. როგორც გრაფიკიდან ჩანს, პოსტსაბჭოთა ქვეყნებში მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდა კორელაციაშია ომიდან გაქცეულთა და მობილიზებულთა რაოდენობასთან.**

### საქართველო

საქართველოს მშპ 2022 წელს 10%-ით გაიზარდა.

2022 წელს რუსებმა საქართველოში 1.135 მილიარდ დოლარზე მეტი გადარიცხეს, რაც შარშანდელზე 5-ჯერ მეტია.

რუსების მასობრივმა გადასახლებამ საქართველოში უძრავი ქონების ბაზრის ბუმი გამოიწვია: 2022 წელს ქირის ფასი თბილისში 120%-ით გაიზარდა.

### სომხეთი

სომხეთის მშპ-ის ზრდამ 2022 წელს 14% შეადგინა.

სომხური ბანკების მოგებამ 2022 წელს 280 მილიონ დოლარს მიაღწია, რაც პროგნოზს 3-ჯერ აღემატება.

რუსეთიდან სომხეთში ფულადი გზავნილების მოცულობამ 2022 წელს 2 მილიარდზე მეტი შეადგინა.

### უზბეკეთი

რუსებმა უზბეკეთში 967 საწარმო გახსნეს, რაც ქვეყანაში ჩამოყალიბებულ უცხოურ კომპანიებს შორის რეკორდია.

უზბეკეთის ხელისუფლებამ შემოიღო მთელი რიგი პროგრამები უცხოური ბიზნესის მხარდასაჭერად, მათ შორის სამწლიანი ვიზები – კომპანიების თანამშრომლებისთვის.

რუსეთიდან სპეციალისტების გადინების გამო უზბეკეთში IT კომპანიების რაოდენობა თითქმის 6-ჯერ გაიზარდა.

### ყაზახეთი

გასულ წელთან შედარებით, ყაზახეთის ეკონომიკა 3.1%-ით გაიზარდა, პროგნოზების მიხედვით, 2023 წელს კიდევ 3.5%-ით გაიზრდება.

რუსული ბანკების მიმართ უნდობლობის გამო, ყაზახეთი ხდება რუსებისთვის უცხოური ვალუტის შენახვის კერა: 2022 წელს რუსებმა ყაზახეთის ბანკებს 40 მილიარდ რუბლზე (1.5 მილიარდი ლარი) მეტი შეიტანეს“, – აღნიშნულია რუსული მედიის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

## ოკუპირებულ აფხაზეთში ჟენევის დისკუსიების თანათავმჯდომარეებს მიღებაზე უარი უთხრეს!

**ოკუპირებული აფხაზეთში გადაწყვიტეს, რომ არ მიიღონ სამხრეთ კავკასიაში უსაფრთხოებისა და სტაბილურობის შესახებ ჟენევის დისკუსიის თანათავმჯდომარეები. ამის შესახებ „რადიო თავისუფლების“ პროგრამა „ეხო კავკაზას“ ინფორმაციით, დე ფაქტო საგარეო საქმეთა მინისტრმა ინალ არძინბამ განაცხადა.**

მისი თქმით, გადაწყვეტილება ჟენევის დისკუსიების 57-ე რაუნდის გადადებას უკავშირდება, რომლის ჩატარებაც 2023 წლის 21-22 თებერვალს იგეგმებოდა



**„ბოლო დროს, ეს პირველი შემთხვევა არ არის, როდესაც თანათავმჯდომარეები ყოველგვარი ობიექტური მიზეზების და მოლაპარაკების პროცესში მონაწილეებთან შეთანხმების გარეშე იღებენ ცალმხრივ გადაწყვეტილებებს რაუნდის გაუქმების ან გადადების შესახებ. 2022 წელს დაგეგმილი ოთხი შეხვედრიდან მხოლოდ ერთი შედგა. მსგავს სურათს ვხედავთ მიმდინარე წლის დასაწყისშიც, როდესაც თანათავმჯდომარეები ცალმხრივად წყვეტენ შემდეგი რაუნდის გადადების საკითხს. ჩვენი ამოსავალია ის, რომ თანათავმჯდომარეების ასეთი ქმედებები ანგაჟირებული ხასიათის მატარებელია, აფერხებს მოლაპარაკებების ამ მნიშვნელოვანი საერთაშორისო ფორმატის მუშაობას და ქმნის რეგიონში სტაბილურობისთვის დამატებით საფრთხეებს. 2023 წლის თებერვალში დაგეგმილი მოლაპარაკებების რაუნდის გაუქმების გათვალისწინებით, აფხაზურმა მხარემ გადაწყვიტა უარი ეთქვა ჟენევის საერთაშორისო დისკუსიების თანათავმჯდომარეების დელეგაციისთვის, რომელიც 8-9 თებერვალს აპირებდა ვიზიტს აფხაზეთის რესპუბლიკის ოფიციალურ პირებთან შეხვედრების ჩასატარებლად, აფხაზეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე შესვლაზე“,** – ნათქვამია არძინბას განცხადებაში.

ჟენევის დისკუსიების მორიგი რაუნდის გაუქმების შესახებ ოფიციალური განცხადება არ გაკეთებულა. მანამდე, რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა ჟენევის დისკუსიებში მონაწილე დასავლელი წარმომადგენლები გააკრიტიკა. მისი თქმით, ევროკავშირი, გაერო, ეუთო და შეერთებული შტატები „ცდილობენ დიალოგის ეს ფორმატი უკრაინის ირგვლივ მიმდინარე მოვლენების მძევლად აქციონ“.

**2022 წელს რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ განაცხადა, რომ „ჟენევის დისკუსიები გეოპოლიტიკის მძევალი გახდა“ და მიუთითა მოლაპარაკებების „უფრო ნეიტრალურ ადგილას“ წარმართვის აუცილებლობაზე.**



## სკანდალში გახვეული ევროპარლამენტართა რისკები იზრდება

**ევროპარლამენტი კორუფციულ სკანდალში გახვეულ კიდევ ორ ევროდეპუტატს გაუუქმებს ხელშეუხებლობას. საუბარია ორ სოციალ-დემოკრატ ევროდეპუტატზე, რომელთაგან ერთ-ერთი ქრთამს, სავარაუდოდ, კატარისგან, ხოლო მეორე მაროკოსგან იღებდა.**

ევროპარლამენტის იურიდიულ საქმეთა კომიტეტმა უკვე გააუქმა ხელშეუხებლობა ბელგიელ მარკ ტარაბელას და იტალიელ ანდრეა კოცოლინოს. საბოლოოდ დეპუტატის იმუნიტეტს მათ დღეს დაგეგმილ ევროპარლმენტის პლენარულ სხდომაზე გააუქმებენ. მანამდე ამ მოთხოვნით ბელგიის პროკურატურა გამოვიდა. ორივე დეპუტატი კორუფციულ გარიგებებში მონაწილეობას უარყოფს.

## იენს სტოლტენბერგი: პუტინის გამარჯვება იქნება ტრაგედია უკრაინისთვის და სახიფათო სიგნალი მსოფლიოსთვის!

**უკრაინაში პუტინი თუ გაიმარჯვებს, ეს იქნება ტრაგედია უკრაინისთვის და ასევე ძალიან სახიფათო სიგნალი ავტორიტარი ლიდერებისთვის მთელ მსოფლიოში, რომლებსაც ეცოდინებათ, რომ სამხედრო ძალის გამოყენებით მიზნების მიღწევა შეუძლიათ,** – ამის შესახებ ნატოს გენერალურმა მდივანმა, იენს სტოლტენბერგმა ტოკიოში ვიზიტისას განაცხადა.

ნატოს გენერალური მდივანი და იაპონიის პრემიერი თანხმდებიან, რომ რუსეთისა და ჩინეთის მზარდი სამხედრო თანამშრომლობა ყველაზე დაძაბულ გარემოს ქმნის უსაფრთხოების სფეროში მეორე მსოფლიო ომის შემდეგ.

ერთი დღით ადრე. სამხრეთ კორეაში ვიზიტისას სტოლტენბერგმა ჩინეთი დაადანაშაულა ნატო-სა და უკრაინაში ომის შესახებ დეზინფორმაციის გავრცელებაში, ასევე აღნიშნა, რომ ჩინეთი, რუსეთთან ერთად, გამოწვევის წინაშე აყენებს მსოფლიოში არსებულ წესებზე დაფუძნებულ წესრიგს.

## ნუ ატყუებთ უკრაინას, მას ევროკავშირში ასე უცებ არ მიიღებენ!

**ევროკავშირის წევრმა ქვეყნებმა ბრიუსელი გააფრთხილეს, რომ კიევში დაგეგმილი სამიტის წინ უკრაინას ბლოკში სწრაფად გაწევრიანების არარეალური მოლოდინი არ უნდა მიეცეს.**

ევროკავშირის დედაქალაქების მაღალი რანგის დიპლომატები შეშფოთებულნი არიან, რომ უკრაინას 2026 წლისთვის ევროკავშირში გაწევრიანების იმედი მიეცა და ბრიუსელის ოფიციალური პირების მიერ აღნიშნული მოლოდინი წახალისდა.

**„არცერთ პოლიტიკურ ლიდერს არ სურს იყოს ისტორიის არასწორ მხარეს. არავის სურს დაადანაშაულონ იმაში, რომ იგი საკმარისად არ იხარჯება. ასე რომ, ისინი ხბრიუსელის წარმომადგენლებიც უკრაინას ეუბნებიან, რომ ეს ყველაფერი შესაძლებელია“,** – განაცხადა ერთ-ერთმა ევროპელმა მაღალჩინოსანმა.

მაღალჩინოსნის თქმით, როგორც წესი, კანდიდატ ქვეყნებს ბლოკში გაწევრიანებამდე ხშირად ათწლეულები სჭირდებათ, შესაბამისად ბლოკში 2026 წელს უკრაინის გაწევრიანება შეუძლებელია.

## ყირიმი არასდროს დაუბრუნდება უკრაინას?!

უკრაინის საგარეო საქმეთა სამინისტრომ ხორვატიის პრეზიდენტი, ზორან მილანოვიჩი გააკრიტიკა მას შემდეგ, რაც ხორვატიის პრეზიდენტმა განაცხადა, რომ ყირიმი არასდროს დაუბრუნდება უკრაინას.

**„მიუღებლად მიგვაჩნია ხორვატიის პრეზიდენტის განცხადებები, რომელმაც ფაქტობრივად ეჭვქვეშ დააყენა უკრაინის ტერიტორიული მთლიანობა“,** – წერს უკრაინის საგარეო საქმეთა სამინისტროს სპიკერი, ოლეგ ნიკოლენკო Facebook-ზე.

## ამერიკა თანახმაა შორ მანძილზე მოქმედი რაკეტების გადაცემაზე

**აშშ უახლოეს ხანში გამოაცხადებს უკრაინისთვის ახალი სამხედრო მხარდაჭერის პაკეტის გადაცემას, რომელშიც ასევე იქნება 150 კილომეტრზე მოქმედი რაკეტები.**

საუბარია მაღალი სიზუსტის მქონე რაკეტებზე Ground Launched Small Diameter Bomb. ეს აშშ-ისა და შვედეთის მიერ წარმოებული რაკეტებია, რომელთა საშუალებითაც შესაძლებელია მოძრავ სამიზნეებზე დარტყმების განხორციელებაც. აღსანიშნავია, რომ ამ დრომდე აშშ უკრაინის არმიას აწვდიდა ისეთ შეიარაღებას, რომელთა მოქმედების რადიუსი 80 კილომეტრამდე იყო.

აშშ-ის სამხედრო მხარდაჭერის ახალი პაკეტის ღირებულება 2 მილიარდ დოლარს აჭარბებს და მისი გამოყოფის შესახებ ვაშინგტონი უახლოეს ხანში გამოაცხადებს.



## მაკრონი პოზიციის დათმობას არ აპირებს!

**პარიზში, საპენსიო რეფორმის მოწინააღმდეგეთა აქციაზე პოლიციამ ცრემლსადენი აირი გამოიყენა. საფრანგეთის პრეზიდენტის, ემანუელ მაკრონის მიერ ინიცირებული რეფორმის გასაპროტესტებლად ხალხმრავალი აქციები საფრანგეთის არაერთ ქალაქში გაიმართა. მათ შორის ყველაზე ხალხმრავალი დემონსტრაცია იყო პარიზში, მარსელსა და ლიონში.**

პოლიციის ცნობით, მხოლოდ პარიზში აქციაზე 100 ათასი ადამიანი გავიდა. სოციოლოგიური გამოკითხვების მიხედვით, ფრანგების უმეტესობა არ ეთანხმება მთავრობის გეგმას, რომელიც 2030 წლამდე საპენსიო ასაკის 62-დან 64 წლამდე გაზრდას ითვალისწინებს. მიუხედავად ამისა, საფრანგეთის ხელისუფლება პოზიციების დათმობას არ აპირებს.

# „ხარაჩოდან ვიზუალურად დანახული“ და პარტიული ოფისიდან გაკრიტიკებული სამინისტრო

## კულტურის სამინისტრო ზოგიერთი მეცნიერისა და პარტია „ლელოს“ ერთობლივ ბრალდებებთან დაკავშირებით განცხადებას ავრცელებს

საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო ზოგიერთი მეცნიერისა და პარტია „ლელოს“ ერთობლივი ბრალდებების შესახებ განცხადებას ავრცელებს, რომელსაც უცვლელად გთავაზობთ.

**„31 იანვარს პოლიტიკური პარტიის – „ლელო საქართველოსთვის“ – ოფისში, გელათში განხორციელებული სარეაბილიტაციო სამუშაოების შესახებ პრესკონფერენცია გაიმართა. პრესკონფერენცია ეყრდნობოდა ვითომდა გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის კვლევითი ცენტრის მიერ შემუშავებულ დასკვნას.**

**საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო თავიდანვე შეახსენებს საზოგადოებას, რომ ზემოხსენებული კვლევითი ცენტრი სამინისტროს ზედამხედველობის ქვეშ მოქმედი ორგანიზაციაა. მას შემდეგ, რაც, 2021 წლის მარტში, სამინისტროს სათავეში ჩაუდგა თეა წულუკიანი, კვლევითი ცენტრის მეცნიერთა ვიწრო ჯგუფი ხანგამოშვებით პოლიტიკურ ნიადაგზე უპირისპირდება სამინისტროსა და მის ხელმძღვანელობას და, სამწუხაროდ, ამ მიზნისათვის სისტემატურად იყენებს გელათის სამონასტრო კომპლექსში 2008-2020 წლებში შექმნილ ვითარებას. დასანანია, რომ 2021 წლის მარტამდე, არავის ახსოვს, მოცემულ მეცნიერთა აღშფოთება გელათის სამონასტრო კომპლექსში შექმნილ ვითარებასთან დაკავშირებით.**

**სამინისტრო აცხადებს, რომ კვლევითი ცენტრის მიერ დღეს გამოქვეყნებული დასკვნა სამინისტროსა და მის მიერ გელათში შექმნილი პრობლემების გამოსასწორებლად ქვეყნის შიგნიდან თუ უცხოეთიდან მოწვეული ექსპერტების ჩართულობის გარეშე იქნა შემუშავებული და ის, შესაბამისად, შორს არის მეცნიერული დასკვნისაგან თუნდაც მისი შემუშავების მეთოდიდან გამომდინარე. შესაბამისად, მოცემული დასკვნა ერთი კონკრეტული და მცირერიცხოვანი, პოლიტიკურად ანგაჟირებულ პირთა ჯგუფის მოსაზრებების კრებულია. ამასთან, რამდენადაც სამინისტროსათვის ახლახან გახდა ცნობილი, მოცემული დასკვნა ცენტრის ხელმძღვანელისაგან მალულად იქნა შემუშავებული და დამტკიცებული. ეს კი ხდება მაშინ, როდესაც ცენტრის ხელმძღვანელი იმავდროულად ცენტრის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარეა. ცენტრის ხელმძღვანელისა და ცენტრის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარის გვერდის ავლით „დამტკიცებული“ დასკვნა წარმოადგენს თუ არა კვლევითი ცენტრის დასკვნას, ეს საკითხი სამინისტროს მხრიდან დამატებითი სამართლებრივი შესწავლის საგანი უნდა გახდეს.**

**არავის აქვს უფლება, ვიწრო პარტიული ინტერესებისათვის გამოიყენოს იმ ცენტრის სახელი და ემბლემა, რომლის სათავეშიც, ჯერ კიდევ 1940-იანი წლებიდან, გიორგი ჩუბინაშვილი, ვახტანგ ბერიძე, გიორგი ახვლედიანი, სიმონ ჯანაშია, შალვა ამირანაშვილი და სხვა დიდი მეცნიერები იდგნენ.**

**ნიშანდობლივია, რომ გელათის სამონასტრო კომპლექსში პრობლემების აღმოსაფხვრელად განკუთვნილი, ცენტრისეული რეკომენდაციების საზოგადოებისათვის წარდგენა ცენტრის შესაბამისმა მეცნიერებმა არა ცენტრის ოფისში ან სამინისტროში, ან კიდევ რომელიმე სამეცნიერო სივრცეში მოისურვეს, არამედ პოლიტიკური პარტიის ოფისში. აშკარაა, რომ უცნაურ „მეცნიერულ“ საქმიანობასთან გვაქვს საქმე.**

**აღარაფერს ვამბობთ იმაზე, რომ თვალში საცემია დასკვნის ზედაპირულობა და დასკვნის ავტორთა არაკომპეტენტურობა, რომლებიც „ხარაჩოდან ვიზუალური დათვალიერებით“ აკრიტიკებენ განხორციელებულ სამუშაოებს, მათ მეთოდოლოგიას და ამას აკეთებენ ისე, რომ არავითარი პრაქტიკული გამოცდილება კედლის მხატვრობის კონსერვაცია-რესტავრაციის დარგში არ გააჩნიათ. ამავე არაკომპეტენტური თეორეტიკოსების საქმიანობის შედეგია ის, რომ სამინისტრო, უკვე რამდენიმე თვეა, სამონასტრო კომპლექსში გადარჩენით სამუშაოებს ვეღარ ახორციელებს. 2021 წლის მაისიდან დღემდე, კულტურის სამინისტროს ყველა გადაწყვეტილებისა და ქმედითი ნაბიჯის შესახებ ცნობილია იუნესკოსა და მისი სტრუქტურებისათვის. სამინისტრო სწორედ იუნესკოს ექსპერტების ჩართულობითა და მათი მოსაზრებების გათვალისწინებით ცდილობს, აღმოფხვრას პრობლემები, რომლითაც ცენტრის ზოგიერთი, პოლიტიკოსად ქცეული „მეცნიერი“ თეა წულუკიანის კულტურის მინისტრად დანიშვნამდე, მთელი 12 წლის განმავლობაში, საერთოდ არ დაინტერესებულა. სამინისტროს მიერ გელათში წარმოებული სამუშაოების შესახებ ინფორმაცია და დოკუმენტები კი საჯარო და ხელმისაწვდომია როგორც იუნესკოს, ასევე სამინისტროს ინტერნეტგვერდების საშუალებით.**

სამინისტრო ყოველთვის მზად იყო და კვლავაც მზად არის, გაითვალისწინოს ყველა კონკრეტული რჩევა, წინადადება თუ უკეთესი საკონსერვაციო მეთოდოლოგია გელათის სამონასტრო კომპლექსში ვითარების გასაუმჯობესებლად და არა – პოლიტიკურად ანგაჟირებული კრიტიკა თუ ვიწროპარტიული ინტერესით განპირობებული უსაფუძვლო ბრალდებები.






# ირაკლი კახიძე ქუთაისის ოპერის თეატრში „ტოსკაში“ იმღერებს




**10 თებერვალს, 19 საათზე ქუთაისის მელიტონ ბალანჩივაძის სახელობის ოპერისა და ბალეტის პროფესიულ სახელმწიფო თეატრში (სამხატვრო ხელმძღვანელი ირინე ლომინაძე) წარმოდგენილი იქნება დიდი იტალიელი კომპოზიტორის ჯაკომო პუჩინის ძალზე პოპულარული, საყოველთაოდ ცნობილი და აღიარებული შედევრი – ოპერა „ტოსკა“, რომლის დადგმის მთავარი ხელშემწყობია საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო.** დადგმაზე იმუშავეს დირიჟორმა **რევაზ ჯავახიშვილმა**, რეჟისორმა **მაია გაჩეჩილაძემ**, მხატვარმა **თეო კუხიანიძემ.** პუჩინის „ტოსკას“ 2 საპრემიერო ჩვენება 2022 წლის 23, 25 დეკემბერს შედგა, ამდენად, ეს მესამე საპრემიერო წარმოდგენა იქნება.

ამჯერად სპექტაკლში მონაწილეობას მიიღებენ საზღვარგარეთ დიდი წარმატებით მოღვაწე ქართველი ტენორი **ირაკლი კახიძე** (კავარადოსი) და ქუთაისის ოპერის თეატრის სოლისტები **მარიამ ფირცხალაიშვილი** (ტოსკა, სწორედ ამ როლით შედგება ახალგაზრდა სოპრანოს დებიუტი ქუთაისის ოპერის თეატრში), **მამუკა ლომიძე** (სკარპია), **გივი გიგინეიშვილი** (ანჯელოტი), **ემილ ჩარგაზია** (მნათე), **ბერდია ონიანი** (სპოლეტა), **დავით სიმსივე** (შარონე, მეციხოვნე), ასევე **ანრი ადამია** (მწყემსი), თეატრის გუნდი (მთავარი ქორმაისტერი – **ნათია გოგუაძე**), ორკესტრი. სპექტაკლს უდირიჟორებს თეატრის მთავარი დირიჟორი **რევაზ ჯავახიშვილი.**

თეატრის შემოქმედებით სტუმარს **ირაკლი კახიძეს** ქართველი მსმენელის წინაშე წარდგენა არ ესაჭიროება, თუმცა, აქვე მაინც გაგაცნობთ მის ახალ მიღწევებს. ირაკლი კახიძე პირველი და დღემდე ერთადერთი ქართველი ტენორია, ვინც ორანჟის ცნობილ, ძალზე პრესტიჟულ საერთაშორისო ფესტივალზე იმღერა (2018 წ.).ის დიდი წარმატებით მოღვაწეობს ევროპის ქვეყნებში.პანდემიის დროს წარმატებული სპექტაკლები ჰქონდა მას ასევე ჰონგ კონგში. ირაკლი კახიძეს შემოქმედებითი პარტნიორობა აკავშირებს ისეთ მსოფლიო ვარსკვლავებთან, როგორებიც არიან: ლუდოვიკ ტეზიე, ლატანია მოორე, მიშელ ფოლე, ტატიანა სერჟანი, ბეატრის ურია-მონძონი, ეკატერინე სემენჩუკი, ერვინ შროტი, რომან ბურდენკო, დრაგანა რადაკოვიჩი, სვეტლა ვასილევა, ოლესია პეტროვა, ვლადისლავ სულიმსკი, ქეთრინფოსტერი და სხვა.

გთავაზობთ რამდენიმე ამონარიდს ევროპული პრესიდან, რომლებიც ნათლად წარმოაჩენენ შტრიხებს ირაკლი კახიძის პორტრეტისთვის: **„ირაკლი არის უაღრესად სიმპათიური, არაჩვეულებრივად პოზიტიური ადამიანი, თბილი, კეთილი, კოლეგიალური და კარგი იუმორის მქონეც. ერთი სიტყვით, უაღრესად სასიამოვნო გარემოს ქმნის მუშაობის პროცესში. რაც შეეხება მას როგორც მომღერალს... მიმაჩნია, რომ მის შემთხვევაში საქმე გვაქვს განსაკუთრებულ, ფენომენალურ მოვლენასთან. მისი ხმა არის ულამაზესი ტემბრით, ძალით და მოცულობით შეფერილი. გასაოცარია რეგისტრული სკალა, რომელსაც იგი ასე ოსტატურად ფლობს და რაც საშუალებას აძლევს თავისუფლად იგრძნოს თავი უკიდურესად მაღალ რეგისტრშიც კი. მას აქვს ყველაფერი, რაც ნამდვილ სპინტო-ტენორს სჭირდება ვერდისა და პუჩინის რთული რეპერტუარის სიმღერისთვის.**

**და კიდევ... ის რაც მის სიმღერას განსაკუთრებულს ხდის და რაც ასე ძალიან მხიბლავს მასში, ეს არის სიტყვის და ფრაზის მნიშვნელობის საოცრად ზუსტი შეგრძნება. ეს ფაქტორი ჩემთვის, როგორც მუსიკოსისთვის თითქმის გადამწყვეტია. ირაკლის სადღაც შიგნიდან გულისა და სულის სიღრმიდან გამოაქვს სიტყვის მნიშვნელობა და ბრწყინვალე ბრილიანტების სახით მიაქვს მსმენელამდე. მომღერალი ირაკლი კახიძე მანჰაიმის ნაციონალური თეატრის ნამდვილი მონაპოვარი და განძია!!! ეს არის ხმა რომელიც მუდმივად გინდა რომ ისმინო!“**, – წერს შტეფჰენ მარინარო, მანჰაიმის ნაციონალური თეატრის მთავარი მრჩეველი სამხატვრო-მუსიკალურ დარგში.

**„ქართველ ტენორს ირაკლი კახიძეს რომელმაც, უკვე დაიმკვიდრა შესანიშნავი იტალიური სპინტო-ტენორის რეპუტაცია, ახლა კი უკვე ფრანგული კლასიკური რეპერტუარის ნადირისა და დონ ხოზეს ჩათვლით, შემატა კიდევ ერთი ბრწყინვალე და ურთულესი როლი – ვერთერი (მასნეს „ვერთერი“). მისი ულამაზესი ტემბრის ხმა იღვრებოდა რბილად და ლირიკულად, გულშიჩამწვდომად და სავსედ ჟღერდა მაღალი ნოტები... ვოკალურ პრევალენტობას იგი შესანიშნავად უთავსებს ლეგატისიმოს და პიანოს გასაოცარ კულტურას, ასევე იშვიათი გემოვნების მუსიკალურ ფრაზირებას“**, – წერს გერჰარდ ჰოფმანი.

**„ირაკლი კახიძე – დონ კარლო! კიდევ ერთი ნათელი შედევრი მის რეპერტუარში! განსაკუთრებულად გამორჩეული ვოკალური აქცენტები ყველა სცენაში!**

**ქართველმა ტენორმა კიდევ ერთხელ მოხიბლა მსმენელი თავისი ზუსტი, სრულყოფილი და ელეგანტური ხმით! ტენორი თავდაჯერებული ბრწყინვალებით! ყველანაირი შოუმენობის გარეშე!“**, – ამ სიტყვების ავტორიც კრიტიკოსი გერჰარდ ჰოფმანია.

სამი სხვადასხვა გერმანული გამოცემა ასე ეხმაურება ირაკლი კახიძის მიერ განსხეულებულ დონ ხოზეს (ბიზეს „კარმენი“): **„მართლაც რომ რთულია იყო ირაკლი კახიძის პარტნიორი სცენაზე. სენსაციურ შთაბეჭდილებას ახდენს მისი ულამაზესი ხმის ძალა, თავისუფალი მაღლების, ფრაზირების და ტონის სრულყოფის შთამბეჭდავი მოდიფიცირება!“;**

**„...იდეალურ დონ ხოზედ გვევლინება ირაკლი კახიძე, ძლიერი ხმით, თავისუფალი ფრაზირებით, მყარი და გაშლილი მაღლებით!“;**

**„...თავისი სასიამოვნო ტემბრით შეფერილი ხმით აცოცხლებს დონ ხოზეს ირაკლი კახიძე. გასაოცარ განვითარებას აღწევს იგი ბოლო სცენაში, მძიმე რუბატოებისა და სულისშემძვრელი ინტონაციის მეშვეობით“.**

ირაკლი კახიძეს ქუთაისის ოპერის თეატრში არაერთხელ აქვს ნამღერი დიდი წარმატებით და შეიძლება ითქვას, რომ ის ამ თეატრის მსმენელთა ერთ-ერთი გამორჩეული ფავორიტია. ამჯერადაც, „ტოსკა“ მისი და თეატრის სოლისტების, გუნდისა და ორკესტრის მონაწილეობით, რევაზ ჯავახიშვილის დირიჟორობით, ნარუშლელი შთაბეჭდილებებით გაგამდიდრებთ.

**გიორგი ერისთავი,**
**ქუთაისი.**

◎ მედიის რჩეულნი

# ზედიზედ მეექვსედ!

**საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციამ განვლილი წელი შეაჯამა და გამორჩეული ათლეტები დაასახელა.**

დაჯილდოების საზეიმო ცერემონია სასტუმრო პულმენში გაიმართა.

2022 წლის საუკეთესო ვაჟ სპორტსმენად სპორტული მედიის წარმომადგენლებმა ძალოსანი **ლაშა ტალახაძე** დაასახელეს. მსოფლიოს და ევროპის ექვსგზის ჩემპიონმა სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის გამოკითხვაში ზედიზედ მეექვსედ გაიმარჯვა, რაც ცხადია, რეკორდია. 2016-2017 წლებში მან ერთიან გამოკითხვაში დაიკავა პირველი ადგილი, 2018, 2019, 2021 და 2022 წლებში კი ვაჟთა შორის. 2020 წლის რეფერენდუმი, პანდემიის გამო, არ ჩატარდა.

ლაშა ტალახაძემ 156 ქულა მოაგროვა. მეორე ადგილზე ძიუდოში მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონი, საერთაშორისო ფედერაციის რეიტინგის პირველი ნომერი ტატო გრიგალაშვილი გავიდა (141), ხოლო მესამე ადგილი საქართველოს 2022 წლის საუკეთესო ფეხბურთელად აღიარებულ ხვიჩა კვარაცხელიას მიაკუთვნეს (112).

2018 წლიდან ასოციაცია ქალთა შორის საუკეთესოსაც



ავლენს და ამ ნომინაციაში პირველი ადგილი ძიუდოისტ **ეთერ ლიპარტელიანს** ხვდა წილად (75). მეორე ადგილი ბატუტზე მხტომელმა ლუბა გოლოვინამ დაიკავა (64), ხოლო მოჭადრაკე ნინო ბაციაშვილი 23 ქულით მესამე გახლდათ. ეთერ ლიპარტელიანმა ზედიზედ მესამედ მოიგო საქართველოს საუკეთესო ქალი სპორტსმენის წოდება სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის ვერსიით. მან 2019 და 2021 წლებშიც პირველი ადგილი დაიკავა.

2022 წლის ნომერ პირველი ახალგაზრდა სპორტსმენი **ხვიჩა კვარაცხელია** გახდა 36 ქულით. მეორე ადგილზე ნიჩბოსანი ალექსანდრე წივწივაძე გავიდა (28), ბატუტზე მხტომელი ანანო აფაქიძე კი მესამე იყო (26). ეს ხვიჩას ზედიზედ მეორე ტრიუმფია ამ ნომინაციაში.

წლის მწვრთნელის წოდება ძალოსანთა ნაკრების თავკაცს **გიორგი ასანიძეს** ხვდა წილად (46). ლაშა გუჯეჯიანი (ძიუდო) მეორე გახლდათ – 41, ხოლო მორაგბეთა ეროვნული გუნდის დამრიგებელი ლევან მაისაშვილი – მესამე (39).

თავის დროზე გიორგი ასანიძემ სამჯერ მოიგო სსჟას ვერსიით წლის სპორტსმენის წოდება, ხოლო წლის მწვრთნელის ტიტული მეხუთედ მოიპოვა – 2016, 2017, 2018, 2019, 2022.

სსჟა-ს რეფერენდუმში მონაწილე 73-მა ჟურნალისტმა 2022 წლის უძლიერეს გუნდად ფეხბურთელთა ეროვნული ნაკრები დაასახელა (67). მეორე ადგილზე მორაგბეები გავიდნენ (66), ხოლო წყალბურთელებმა (15) მესამე ადგილი დაიკავეს.

ჟურნალისტებმა მეორედ გამოავლინეს წლის უძლიერესი პარასპორტსმენები. მთავარი პრიზი ამჯერად ეტლით მოფარიკავე **ირმა ხეცურიანს** ერგო. შარშანდელი გამარჯვებული ნინა თიბილაშვილი (ეტლით ფარიკაობა) მეორე იყო, ვაჟთა შორის კი საუკეთესოდ აკაკი ჯინჭარაძე (პარაწოლჭიმი) დასახელდა.

◎ ლეგიონერები

# მათ ვერ აჩერებენ

**ევროლიგის ისტორიაში სულ 18 კალათბურთელია, ვინც 2500-ქულიანი ზღვარი დაძლია და ამიერიდან ეს დიდოსტატური ნიშნული თორნიკე შენგელიამაც გადალახა.**

ეს ჯგუფური რაუნდის 22-ე ტურში მოხდა, როცა ვირტუსმა შინ ცრვენა ზვეზდა დაჯაბნა – 84:72.

15 ქულა, 4-4 მოხსნა და შედეგიანი გადაცემა 26 წუთში სარგებლიანობის მარგი ქმედების 19-პუნქტიანი კოეფიციენტით – ასეთია ბოლონიელთა ქართველი ლიდერის შთამბეჭდავი პირადი მონაგარი, რამაც მატჩის MVP ტიტული მოუტანა. აღსანიშნავია აგრეთვე უბერებელი მილოშ თეოდოშიჩის 9(!) ზუსტი პასიც.

10 მოგებითა და 12 მარცხით იტალიური კლუბი მე-11 ადგილზეა და ინარჩუნებს პლეი-ოფში გასვლის შანსს, მორიგ შეხვედრას კი ფრანგულ ვილერბანთან გამართავს.



ამასობაში კიდევ ერთხელ გაიბრწყინა **გიორგი შერმადინმა,** რომელიც ესპანური ლიგა ენდესთვის საუკეთესო მოთამაშედ კარიერაში მე-11 დასახელდა და თვით საბონისის გასწრებით რეკორდსმენი გახდა.

არანაკლებ საამაყოა მისი მონაგარი ტურების მიხედვით – უკვე მე-18 გახდა რჩეული და იმავე ლიტველ ლეგენდას მხოლოდ 1 აღიარებით ჩამორჩება.

ასე რომ, გაგრძელება აუცილებლად იქნება!

◎ ფაქტები

# ორმაგი სტანდარტით

**გასულ უქმეებზე ფრანგული ლიგა – 1-ის ცენტრალური მატჩის შემდეგ (მარსელი – მონაკო 1:1) მასპინძელთა უკრაინელი მალინოვსკი და სტუმართა რუსი გოლოვინი ერთმანეთს გადაეხვივნენ და თბილად დაშორდნენ, როგორც მოსალოდნელი იყო, ამ ფაქტს სკანდალი მოჰყვა, რომელიც დნეპრისპირელებმა ააგორეს და ეროვნული ნაკრებიდან ძე შეცთომილის მოკვეთაც კი მოითხოვეს.**

საბოლოოდ რუსლანმა ბოდიში მოიხადა და თავი იმართლა – რა მექნა, მეტოქე გუნდის წევრის ინიციატივას მექანიკურად ვუპასუხე იმავე ჟესტით, მაგრამ...

ამასობაში ცეცხლზე ნავთი საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა დაასხა, რომელმაც არ გამორიცხა გაისად პარიზის თამაშებზე რუს და ბელარუს ოლიმპიელთა დაშვება ნეიტრალური დროშით, ოღონდ შეწყალებულებმა რუსული აგრესია უნდა დაგმონო.

მოკლედ, დაველოდოთ კვანძის გახსნას, თუმცა გასათვალისწინებელია, რომ უკვე 40-მდე ქვეყანა იმუქრება პროტესტის ნიშნად მომავალი ფორუმის ბოიკოტით. სხვათა შორის, სპორტული სამყარო რომ ჯერაც ორმაგი სტანდარტების ერთგულია, ცალკეულ ფედერაციათა მაგალითი მოწმობს, რომლებიც ჩრდილოელებს დღემდე უგორებენ კოჭს და დიდ სარბიელზე უშვებენ.

◎ ლეგენდა

# საუკუნის მოვლენა

**ჰოკეის დიდების დარბაზის წევრი ბობი ჰალი 84 წლისა გარდაიცვალა. ის ჰოკეის ეროვნული ლიგის (NHL) პირველი მოთამაშეა, ვინც სეზონში 50-ზე მეტი შაიბა გაიტანა.**

ჰალის მეტსახელი იყო „ოქროს რეაქტიული თვითმფრინავი“, რაც ღია ფერის თმის და სისწრაფის გამო შეარქვეს. მისი დახმარებით, „ჩიკაგო ბლექ ჰოქსმა“ 1961 წელს სტენლის თასი მოიპოვა. მანამდე ამ გუნდს, ტიტული 23 წლის განმავლობაში არ ჰქონდა მოგებული.

**„ჰალი იმ ელიტარულ მოთამაშეთა შორისაა, ვინც ჩვენს ჰოკეის კლუბზე ისტორიული გავლენა მოახდინა. ჩიკაგოელთა თაობები აღფრთოვანებულები იყვნენ ბობის უბადლო დარტყმებით, სწრაფი სრიალით და გუნდის ლიდერობით“,** – ნათქვამია „ბლექ ჰოქსის“ განცხადებაში.



გუნდში ჰალის მისვლამდე, ჩიკაგოს გუნდმა, წინა 12 სეზონიდან, 11-ში ვერ შეძლო პლეი-ოფში გასვლა. ჰალმა გუნდი გამოაცოცხლა და შედეგებთან ერთად, შემოსავლებიც გაუზარდა. ჰალმა და მისმა თანაგუნდელმა სტენ მაიკიტამ დაამკვიდრეს ყვანჯის ერთგვარი მოღუნული ვერსია, რომელიც მათთვის ძლიერი და ზუსტი დარტყმების ინსტრუმენტი იყო. მან ჩიკაგოში 15 სეზონი გაატარა და მისი მეტოქეების კარში 604 გოლი გაიტანა, რაც „ბლექ ჰოქსისთვის“ ახლაც სარეკორდო მაჩვენებელია. ჰალმა ხუთ სეზონში შეძლო 50 და მეტი შაიბის გატანა და შვიდჯერ იყო NHL-ის საუკეთესო გოლეადორი, ორჯერ მოიგო ჰარტის პრიზი, როგორც ლიგის ყველაზე ფასეულმა მოთამაშემ და ათჯერ გახდა საუკეთესო მარცხენა თავდამსხმელი.

1972 წელს ჰალი NHL-ის და ჰოკეის ისტორიაში გახდა პირველი მოთამაშე, ვინც მილიონდოლარიანი კონტრაქტი გააფორმა. მაშინ ის „ვინიპეგ ჯეთსის“ (1996 წლიდან ფინიქსში გადავიდა და სახელად კოიოტსი ეწოდა) წევრი გახლდათ. ამ კონტრაქტის გამო, ჰალმა 1972 წელს ვერ ითამაშა საბჭოთა კავშირის ნაკრების წინააღმდეგ ისტორიულ სერიაში.

◎ რაგბი ჩვენი თამაშია

# ოპტიმალური შემადგენლობით

**ბორჯღალოსნები 29 იანვარს „შევარდენის“ სანაკრებო ბაზაზე სრული შემადგენლობით შეიკრიბნენ და 30-იდან 2023 წლის რაგბი ევროპის ჩემპიონატის პირველი თამაშისთვის მზადებას შეუდგნენ, რომელსაც 5 თებერვალს „ავჭალაზე“, 13 საათზე გერმანიის წინააღმდეგ გამართავენ.**

ფორმატის ცვლილების მიუხედავად, გუნდებს კვლავინდებურად 5-5 თამაშის გამართვა მოუწევთ – 3-ის ჯგუფურ ეტაპზე და ორის ფლეი ოფში დაკავებული ადგილის მიხედვით.

ბორჯღალოსნებმა 2000 წლიდან დღემდე რაგბი ევროპის ჩემპიონატი (და მისი წინამორბედი ერთა თასი – 2000-2016) 14-ჯერ მოიგეს, მათგან 11 ბოლო 12 გათამაშებიდან. 2018 წლიდან საქართველო რაგბი ევროპის უცვლელი ჩემპიონია და თუ ტიტული წელსაც დაიცვა, საკუთარ რეკორდს გაიმეორებს – ზედიზედ 6 გამარჯვება 2011-2016 წლებში.

გუნდის მთავარი მწვრთნელი **ლევან მაისაშვილი** ამბობს, რომ უმთავრესი მიზანი ტიტულის შენარჩუნებაა, თუმცა არის მეორე, არანაკლებ მნიშვნელოვანი მიზანი:

**„ტრადიციისამებრ, უპირველესი მიზანი რაგბი ევროპის ჩემპიონობაა, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ 2023 წლის მსოფლიო თასამდე სულ 8 თამაში დაგვრჩა ჩასატარებელი – 5 რაგბი ევროპაზე და სამიც გასახურებელი მატჩი აგვისტოში. სასურველია, რომ უფრო მაღალი დონის შეხვედრები გვქონოდა, მაგრამ თებერვალ-მარტში ეს მოცემულობა გვაქვს და ვერაფერს შევცვლით.**

**აქედან გამომდინარე, ექსპერიმენტებისთვის დრო ძალიან ცოტა გვრჩება და თუ არ ჩავთვლით ტრავმირებულ მოთამაშეებს, ოპტიმალურ შემადგენლობას მოვუყარეთ თავი. ასევე გვყავს რამდენიმე ახალბედა, რომლებიც გვინდა მსოფლიო თასამდე გავსინჯოთ და მათ ამ პერიოდში დავაკვირდებით“.**

გაფართოებულ რაზმში სამი დებიუტანტია, 8 მოთამაშეს კი 10-ზე ნაკლები კეპი აქვს მოხვეჭილი. დებიუტანტებთან დაკავშირებით მთავარი მწვრთნელი ამბობს:

**„სერგო აბრამიშვილი და ოთარ ლაშხი ნოემბრის შეკრებაზეც გვყავდა. ორივეს დიდი ხანია ვაკვირდებით, კარგად ვიცით მათი შესაძლებლობები და ვეცდებით ახლა მივცეთ თამაშის შანსი. თენგიზ ზამთარაძე ახალგაზრდა კვაჭია და მთელი სანაკრებო ვერტიკალი აქვს გავლილი, 20-წლამდელების ჩათვლით და ახლა „შავ ლომშია“. მისი საქმეში ხილვა აქამდეც გვსურდა, თუმცა ტრავმამ შეგვიშალა ხელი“.**

გაფართოებულ რაზმშია, თუმცა გერმანიასთან მატჩს გამოტოვებს ბექა გორგაძე და გუნდს მოგვიანებით შეუერთდება. დისკვალიფიკაციის გამო გერმანიასთან და ნიდერლანდებთან ვერ ითამაშებს გუნდის კაპიტანი მერაბ შარიქაძე:

**„ის გუნდის კაპიტანია და შეკრებაზე მისი ყოფნა მნიშვნელოვანია. ბუკა ჩვენთან ერთად ივარჯიშებს, ფიზიკურ კონდიციებს შეინარჩუნებს და ესპანეთთან დაგვიბრუნდება. ვინ იქნება გუნდის კაპიტანი პირველ ორ თამაშში მას შემდეგ გადაწყდება, რაც სათამაშო შემადგენლობას დავასახელებთ.**

**ასევე გაფართოებულ შემადგენლობაშია ლაშა მალაღურაძე, რომელიც თამაშის შემთხვევაში მე-100 კეპს მოიხვეჭს. მას მე-100 თამაში 2020 წელს უნდა ჩაეტარებინა, მაგრამ რუსეთთან ბრძოლა გადაიდო, მერე კი კოვიდ-პანდემიის გამო თამაშები საერთოდ გაუქმდა. ყოველთვის მინდოდა, რომ ლაშასთვის ამ ნიშნულის მიღწევის შესაძლებლობა მიმეცა და ახლა ამ აქტივობაზე დავაკვირდებით“.**



# უსისტემო მშენებლობა არაა მიზანშეწონილი...

**საქსტატის ინფორმაციით, 2022 წელს გაცემული სამშენებლო ნებართვების რაოდენობა 7.2%-ით გაიზარდა. გასულ წელს საქართველოში 7 421.9 ათასი კვ.მ ფართობის შენობა-ნაგებობების მშენებლობაზე 10 822 ნებართვა გაიცა.**



ნებართვების 77.2% ქვეყნის 4 რეგიონზე მოდის. ჩასატარებელი სამშენებლო სამუშაოებით (52%) თბილისი და (10.5%) მცხეთა-მთიანეთი ლიდერობენ. აღსანიშნავია, რომ გაცემულ ნებართვებში შედარებით დიდი წილით წარმოდგენილია მრავალფუნქციური საცხოვრებელი კომპლექსები.

როგორ აფასებენ სამშენებლო სექტორში არსებულ ტენდენციებს ურბანისტები და თვლიან თუ არა დამატებით რეგულაციებს საჭიროდ. როგორც „კომერსანტთან" საუბრისას ურბანისტმა **მერაბ ბოლქვაძემ** აღნიშნა, მშენებლობა დადებითი პროცესია, რადგან ადამიანები საქმდებიან და სამშენებლო მასალები იყიდება, თუმცა მშენებლობების გეგმარება ერთიანი სისტემის მიხედვით უნდა ხდებოდეს, რაც ასე არაა. მისივე თქმით ქვეყნის განვითარებისთვის მნიშვნელოვანია, არა მხოლოდ თბილისი და ბათუმი, არამედ სხვა ქალაქებიც ვითარდებოდეს.

**„თბილისს აქვს პოლიცენტრული არეალი, გენერალურ გეგმაში მითითებული გვქონდა, რომ იქ დაშვებულია მაღალი ინტენსივობები და მრავალფუნქციური განვითარება, მას ჰქვია ინვესტიციის მოზიდვის არეალები და ზრდის წერტილები, შესაბამისად, დასაშვებია სართულიანობა. გენერალური გეგმა ზღუდავს თავისუფალ არეალებზე მშენებლობას, ასეთია სკვერები, პარკები, მათი განახლება უნდა მოხდეს და რაოდენობა უნდა გაიზარდოს. გენერალური გეგმის მთავარი მოთხოვნა იყო თავისუფალი ტერიტორიების დაცვა და უსისტემო მშენებლობის უარყოფა.**

**მაგალითად კოჯორში, კიკეთში და ამ მიდამოებში, რა თქმა უნდა, მშენებლობა შეიძლება, უბრალოდ ეს არ უნდა იყოს გაფანტული. მაგალითად, ორი სახლი ერთად და შემდეგ 5 კილომეტრში ოთხი სახლი ერთად და ა.შ. შენდებოდა დაფანტულად და ჯგუფებად. ამ შემთხვევაში ეს ტერიტორიები არ იყო უზრუნველყოფილი საჭირო ინფრასტრუქტურით, მათ შორის წყალმომარაგებით, ელექტროობით და გზებით. როდესაც საუბარია იმაზე, რომ საქართველო არ არის მდიდარი ქვეყანა, უსისტემო და დაფანტული მშენებლობა არ არის მიზანშეწონილი, კომპაქტური განვითარებებია სწორი და არა გაფანტული. თორემ მშენებლობის წინააღმდეგი არავინ არ არის. მთავარია დაცული იყოს თავისუფალი არეალები და ნაკლები ზემოქმედება ჰქონდეს გარემოს".**

ბოლქვაძის თქმით, ქვეყნის განსახლებისთვის მნიშვნელოვანია, რომ სხვა ქალაქებიც ვითარდებოდეს, რადგან განვითარებული ქვეყნების ამოცანაა, რომ მოსახლეობა ქვეყანაში თანაბრად განაწილდეს.

**„ქვეყნის განსახლება დასამუშავებელია, ქალაქწარმომქმნელი ფაქტორები უნდა გაჩნდეს ქუთაისში, ფოთში, აღმოსავლეთ ქალაქებში, მაგალითად გურჯაანში. იმიტომ რომ თუ სხვა ქალაქებში დასაქმების ადგილები განვითარდება, ყველა დედაქალაქში არ იჩენს. თანაბარი განვითარება ყველა მოწინავე ქვეყნის ამოცანაა და სასურველია, რომ საქართველოშიც ასე მოხდეს"**, – აღნიშნა მერაბ ბოლქვაძემ.

**თაკო კვაჭანტირაძე**

## მარიამ ქვრივიშვილი: ყაზახური ინვესტიციით კიდევ ერთი სასტუმრო გაიხსნა თბილისში!



**ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილე მარიამ ქვრივიშვილმა თბილისში ახალი სასტუმროს, „ჰოლიდეი ინნ ექსპრეს თბილისი ავლაბარი"-ს გახსნაში მიიღო მონაწილეობა.**

სასტუმრო ყაზახური ინვესტიციით აშენდა, პირდაპირი ინვესტიციის მოცულობა 12,5 მილიონ აშშ დოლარს შეადგენს, პროექტი ფასეული უძრავი ქონების განვითარების კომპანია „სიმეტრიამ" განახორციელა. სასტუმროში 122 სტანდარტული კატეგორიის ნომერია, რომელიც მორგებული იქნება როგორც დასვენების მიზნით ჩამოსულ ტურისტებზე, ასევე საქმიან სტუმრებზე. სასტუმრო ე.წ. bed & breakfast კონცეფციაზეა აგებული და საშუალო შემოსავლის მქონე სეგმენტზეა ორიენტირებული.

**„დარწმუნებული ვარ, რომ ეს იქნება ძალიან წარმატებული პროექტი, ინვესტორისთვის კი მორიგი მოტივაცია. იმედს ვიქონიებთ, რომ მომავალში ის არამხოლოდ თბილისში, არამედ სხვა, ჩვენთვის საინტერესო, ტურისტულად აქტიურ რეგიონებში განიხილავს ასეთივე პროექტებს. დარწმუნებული ვარ, ერთობლივი ძალისხმევით ჩვენ შევძლებთ საქართველოში კიდევ მეტი ყაზახი ტურისტის და არამარტო მათ მოზიდვას – დივერსიფიკაციის პოლიტიკით და მეტი პირდაპირი ფრენებით"**, – აღნიშნა მარიამ ქვრივიშვილმა.

## ამოღებულია პისტოლეტები, ავტომატები, და საბრძოლო მასალა!..

**შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა, ბოლო პერიოდში ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, თბილისსა და რეგიონებში უკანონო ცეცხლსასროლი იარაღები, ასევე, საბრძოლო მასალა ამოიღეს. დაკავებულია 14 პირი.**

ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის უკანონო შეძენა-შენახვის, ტარების და გასაღების ფაქტებზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის მე-3, მე-4 და მე-5 ნაწილებით მიმდინარეობს.

დანაშაულები **3-იდან 9 წლამდე** თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.



# ლარიკ!

**ისევ უშენოდ, 31 იანვარს აღვნიშნეთ შენი დაბადების დღე (86 წელი), დიდო სპორტსმენო და უდიდესო ადამიანო – ილარიონ ხაზარაძევ!**

**ნათელში იყოს შენი სული.**

**ი. ოსიპოვი,**
**გ. ცაგარელი,**
**ზ. კუპრაშვილი.**

# ნანა ოდიშარია



**57-ე საშუალო სკოლის 1980 წლის მე-10 მეორე კლასის გამოშვების მოსწავლეები თანავუგრძნობთ მწუხარებაში ძვირფას მეგობარს თემურ დოლიძეს დედის**

**ნანა ოდიშარიას**

**გარდაცვალების გამო.**

**დედა ენა, სამშობლო, უფალი – ამ მცნებების ერთგულ მამულიშვილებად ზრდიდა ნახევარსაუკუნოვანი პედაგოგიური მოღვაწეობის განმავლობაში დაწყებითი კლასების მასწავლებელი მომავალ თაობებსა და საფიცარ შთამომავლობას.**

**ნათელი და სანთელი, ნანა მასწ!**

## „სოფლის მხარდამჭერი პროგრამა" აბაშაში

**აბაშის მუნიციპალიტეტში, „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის" ფარგლებში, განსახორციელებელი პროექტების შერჩევის პროცესი დაიწყო. დასაფინანსებელი პროექტები სოფლებში მოსახლეობასთან კონსულტაციებითა და სოფლის კრებებზე მიღებული გადაწყვეტილებებით შეირჩევა.**

პრიორიტეტული პროექტების გამოსავლენად, საერთო კრებები და კონსულტაციები ნორიოს ადმინისტრაციული ერთეულის ექვსივე სოფელსა და წყემის ადმინისტრაციულ ერთეულში გაიმართა. მოსახლეობასთან გამართულ შეხვედრებს ესწრებოდნენ აბაშის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე, გიგა ჯვარელია და მერიის შესაბამისი სამსახურების წარმომადგენლები. აბაშის მუნიციპალიტეტისთვის „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის" ფარგლებში 500 000 ლარია გამოყოფილი.



# ღრმა თოვლი, ხინკალი და ჰელი-სკი საქართველოში

**Financial Times UK-ი საქართველოს სამთო კურორტების შესახებ ვრცელ სტატიას აქვეყნებს. ჟურნალისტი საიმონ უსბორნი მესტიაში 2022 წელს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მოწვევით იმყოფებოდა. ვრცელ სტატიაში საიმონ უსბურნი საქართველოს სამთო კურორტებზე, გასტრონომიაზე და ადგილობრივ მოსახლეობაზე საუბრობს.**

Financial Times UK-ის სტატიაში **„ღრმა თოვლი, ხინკალი და ჰელი-სკი საქართველოში“** მოთხრობილია ორი ადგილობრივი მკვიდრის, მიშა და ალექსი მარგიანების ისტორია, რომლებიც ოცდაათ წელს გადაცილებული ძმები არიან.

**„მესტია, შუა საუკუნეების მთის ქალაქი, მოთხილამურეების ახალი აღმოჩენილი ადგილი, რომელიც ცნობილია შუა საუკუნეების კოშკებით. ქალაქი სადაც არაუმეტეს 2000 ადამიანი ცხოვრობს, მდებარეობს სვანეთის რეგიონის ცენტრში, სადაც სვანები ცხოვრობენ. ისინი ამაყად იცავენ უძველეს კულტურას და ენას – და ევროპის ზოგიერთ უდიდეს მთას.**

**მესტია იმდენად ახალი სათხილამურო კურორტია, რომ ახალგაზრდობისას ეს სპორტი უსწავლია ხის თხილამურებზე, რომლებიც აღჭურვილი იყო ხარის ტყავის საკინძებით. ახლა ის ხელმძღვანელობს ჰელი-სკის მოთხილამურეების საერთაშორისო ჯგუფს“**, – აღნიშნულია სტატიაში.

ჟურნალისტი ქართულ გასტრონომიაზეც ამახვილებს ყურადღებას **– მესტიის მომხიბლავი მოკირწყლული მთავარი ქუჩა,**




**სავსეა რესტორნებით, რომლებიც სტუმრებს ძირითადად ქართულ სამზარეულოს სთავაზობს, მათ შორის მშვენიერი ხინკალი და ხაჭაპური, ყველით სავსე პური,** – წერს გამოცემა.

**„ქალაქის ყველა კუთხე ატარებს თავის კულტურულ მემკვიდრეობას. საგუშაგო კოშკები დაცულია და ერთ-ერთი მათგანი, რომელიც მარგიანის ძველი მეურნეობის ნაწილია, ანუ მაჩუბი, აღდგენილია როგორც პატარა მუზეუმი. მესტიაში ერთი კვირა შემეძლო თხილამურების გარეშე გამეტარებინა. ერთ საღამოს შევიკრიბეთ ქართული ღვინის დეგუსტაციაზე და უმეტეს ღამეებს სხვადასხვა რესტორანში ვვახშმობდით“.** – აღნიშნულია სტატიაში.



# მერაბ ნინიძეს ბერგერის ფილმში გადაიღებენ

**ოსკარზე ნომინირებული კინოსურათის „დასავლეთის ფრონტი უცვლელია“ რეჟისორი ედვარდ ბერგერი რომში თრილერ „კონკლავის“ გადაღებებს შეუდგა.**

ფილმში ისეთ ვარსკვლავებთან ერთად, როგორებიც არიან **რალფ ფაინსი, ჯონ ლიზგოუ, სტენლი ტუჩი** და **იზაბელა როსელინი,** ასევე მონაწილეობს ქართველი მსახიობი **მერაბ ნინიძე.**

ფილმი ეფუძნება რობერტ ჰარისის ბესტსელერს და მისი ეკრანიზაციის ავტორი პიტერ სტროგანია.

კინოსურათის სიუჟეტი ვატიკანში ვითარდება, სადაც პაპის გარდაცვალების შემდეგ კარდინალ ლოურენსს, რომლის როლსაც რალფ ფაინსი ასახიერებს, ახალი პაპის პოვნას დაავალებენ. ამგვარად, ლოურენსი ხდება შეთქმულების მონაწილე, რადგანაც კარდინალები საკუთარი ინტერესების გატარებას ცდილობენ. პოლიტიკური მაქინაციების ფონზე კინოსურათის მთავარი გმირი ხვდება, რომ გარდაცვლილ რომის პაპს ჰქონდა საიდუმლო, რომელიც მან უნდა ამოხსნას, ვიდრე ახალ პაპს აირჩევენ. გამოცემა „ვარიეტის“ ცნობით, მერაბ ნინიძე ფილმში ერთ-ერთი კარდინალის როლს ასრულებს ვატიკანის იმ კარდინალებიდან, რომლებიც „სიქსტის კაპელაში“ არიან იზოლირებულები და ახალ პაპს ირჩევენ.

# საქართველო - ევროვიზიის მეორე ნახევარფინალურ შოუში

**ევროვიზია 2023-ის მასპინძელ ქალაქ ლივერპულში კონკურსის წილისყრა გაიმართა, სადაც ცნობილი გახდა, რომ საქართველოს წარმომადგენელი მეორე ნახევარფინალური შოუს მეორე ნახევარში იმღერებს.**

საქართველოსთან ერთად, მეორე ნახევარფინალში იმღერებენ სომხეთი, კვიპროსი, რუმინეთი, დანია, ბელგია, ისლანდია, საბერძნეთი, ესტონეთი, ალბანეთი, ავსტრალია, ავსტრია, ლიეტუვა, სან მარინო, სლოვენია და პოლონეთი.

**დიდი ხუთეულის ქვეყნები: დიდი ბრიტანეთი, იტალია, ესპანეთი, საფრანგეთი, გერმანია და წინა წლის გამარჯვებული ქვეყანა – უკრაინა ავტომატურად მოხვდებიან ფინალში. გერმანიას, საფრანგეთსა და იტალიას პირველ ნახევარფინალში შეეძლებათ ხმის მიცემა, უკრაინას, ესპანეთს და ბრიტანეთს კი – მეორე ნახევარფინალში. შეგახსენებთ, რომ ევროვიზიის სიმღერის კონკურსი 9, 11 და 13 მაისს ბრიტანეთის ქალაქ ლივერპულში გაიმართება.**

# ჯაფარ ჯექსონი ლეგენდარული ბიძის როლს შეასრულებს



**მაიკლ ჯექსონის შესახებ ბიოგრაფიულ ფილმში მთავარ როლს პოპის მეფის 26 წლის ძმისშვილი – ჯაფარ ჯექსონი შეასრულებს.**

ჯაფარი მაიკლის უფროსი ძმის, ჯერმეინის შვილია. ის 12 წლიდან მღერის და ცეკვავს. ჯაფარმა სოცქსელებში უკვე გამოაქვეყნა ფოტო, რომელზეც ბიძის ცნობილ პოზაში დგას.

ფილმის რეჟისორი ანტუან ფუკუა იქნება, სცენარისტი კი ჯონ ლოგანი. სურათის პრემიერის თარიღი ამ ეტაპზე უცნობია.

# ათწლიანი პატიმრობა ცეკვის გამო

თეირანის სასამართლომ ორ ახალგაზრდა ბლოგერს ქუჩაში ცეკვის გამო 10 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

**„თეირანის რევოლუციურმა სასამართლომ ბლოგერებს საიდუმლო შეხვედრების გამართვასა და შეთქმულებაში დასდო ბრალი“,** – აღნიშნულია ინფორმაციაში. სასამართლოს ჩანაწერების მიხედვით, მსჯავრდებულებს ამირ აჰმადის და მის პარტნიორ ასტიაგე ჰაგიგის სასამართლო დებატების დროს ადვოკატის ყოლის უფლება არ მიეცათ და გირაოს შესახებ მათი განაცხადი არ დაკმაყოფილდა.



# „რუსული“ ქველმოქმედება უკრაინისთვის

**რუსი ბიზნესმენი და ოლიგარქი რომან აბრამოვიჩი უკრაინას 2,3 მლრდ ფუნტს (2,8 მლრდ დოლარს) გადასცემს, რომელიც მან საფეხბურთო კლუბ „ჩელსის“ გაყიდვიდან მიიღო.**



ფული სპეციალურ ფონდში ჩაირიცხება, რომელიც გასულ წელს უკრაინაში ომის შედეგად დაზარალებულთა დასახმარებლად შეიქმნა. ფულის ჩასარიცხად აბრამოვიჩმა ევროკავშირის ნებართვა უნდა მიიღოს, რადგანაც მის წინააღმდეგ სანქციები მოქმედებს.

ეს თანხა ერთ-ერთი უდიდესი საქველმოქმედო აქცია იქნება უკრაინაში ომის დაწყებიდან. ამ ინფორმაციის მიხედვით, თანხის ჩარიცხვა ფონდში მომდევნო რამდენიმე კვირის განმავლობაში უნდა მოხდეს. ცნობისთვის რომან აბრამოვიჩი რუსეთის პრეზიდენტთან, ვლადიმერ პუტინთან დაახლოებულ ბიზნესმენად მიიჩნევა.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ჭავჭავაძის გამზირი №17ე

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
599 36-00-35

მთავარი რედაქტორის მოადგილე
მამუკა ვაშაკიძე
597-22-07-04

ტექნიკური რედაქტორი
კახა ქორიძე

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

გამომცემლები:
შპს 100 – ახალი „საქართველოს რესპუბლიკა“ გაზეთ „ საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79

იბეჭდება სტამბა „კოლორში“
ე. ბაღდავაძის №3
კოლორ ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
2 009882 616932

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

**გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ორშაბათს, 6 თებერვალს**

**უცხოური ვალუტის კურსი:**
აშშ დოლარი - 2.6518; ევრო - 2.8711;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.2673;
100 რუბლი - 3.7888; თურქული ლირა - 0.1410;
აზერბაიჯანული მანათი - 1.5630;
1000 სომხური დრამი - 6.7143

**ამინდი 2 თებერვლისთვის**

| | | | |
|---|---|---|---|
| **აღმოსავლეთი საქართველო:** | | | |
| ბარი - | ღამე | -2, | დღე +8 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | -5, | დღე +3 |
| **დასავლეთი საქართველო:** | | | |
| ბარი - | ღამე | +1, | დღე +8 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | -2, | დღე +4 |
| თბილისი: | ღამე | +3, | დღე +7 |

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 599-79-76-79, 599-36-00-35
ელ. ფოსტა: sakresp@top.ge
და sakresp@mail.ru
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge